პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 1 (9777) | პარასკევი, 1 იანვარი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგილოცავთ ახალ წელს, ამხანაგებო!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის

ამხ. კ. ე. ვოროშილოვის

საახალწლო სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო! დიდი საბჭოთა კავშირის ძვირფასო მოქალაქენო!

მუშებო! კოლმეურნეებო! საბჭოთა ინტელიგენციავ! ჩვენი შეიარაღებული ძალების მეომრებო! სახელოვანო საბჭოთა ახალგაზრდობავ! გილოცავთ მომავალ ახალ წელს!

განვლილ 1953 წელს საბჭოთა ადამიანებმა გულმოდგინედ და ნაყოფიერად იშრომეს საყვარელი სამშობლოს ინტერესებისათვის.

ჩვენი ქვეყნის მშრომელთა დაუშრეტელი ენერგიის მეოხებით წარმატებით სრულდება სახალხო მეურნეობის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმა. მიუხედავად სოციალიზმის გარეშე და შინაური მტრების ხრიკებისა, იზრდება და მტკიცდება საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება. უფრო მდიდარი და უფრო ლამაზი ხდება ჩვენი სოციალისტური სამშობლო. უმჯობესდება ყველა საბჭოთა ადამიანის მატერიალური კეთილდღეობა და მაღლდება მათი კულტურული დონე.

მონოლითივით მტკიცეა ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხთა მეგობრობა. ურღვევია მუშათა კლასისა და გლეხობის ძმური კავშირი და ურყევია საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელიც ძლიერია მშრომელთა სიყვარულითა და ნდობით, მაღლა უჭირავს მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის ძლევამოსილი დროშა, აერთიანებს და წარმართავს რა ხალხის მთელ ძალებსა და ენერგიას კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად.

ხალხის არსებითი ინტერესებისათვის ზრუნვა, იმისათვის ზრუნვა, რომ აყვავდეს ჩვენი სამშობლო როგორც საიმედო დასაყრდენი ხალხთა მეგობრობისა, რომელიც სულ უფრო მტკიცდება—აი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უმაღლესი მიზანი.

ჩვენი პარტია და მთავრობა მთელ ძალებს იმას ახმარენ, რომ კიდევ უფრო განამტკიცონ სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერება, კიდევ უფრო გაუმჯობესონ საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა. ხალხის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის ზრუნვით არის გამსჭვალული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ცნობილი გადაწყვეტილებანი და ჩვენი მთავრობის დადგენილებანი, რომლებიც მიღებულია განვლილ წელს სოფლის მეურნეობის, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და საბჭოთა ვაჭრობის განვითარების საკითხებზე.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა მტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ ჩვენი ხალხი, კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ხალხი, მისთვის ჩვეული შემოქმედებითი ენერგიით წარმატებით განახორციელებს ამ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს.

საბჭოთა ხალხი, რომელიც შემოქმედებითს შრომას ეწევა, მშვიდობის მომხრეა და მშვიდობის საქმეს იცავს. ჩვენი მისწრაფებაა უზრუნველვყოთ მშვიდობა ხალხთა შორის, — აი გრანიტის საფუძველი საგარეო პოლიტიკისა, რომელსაც ახორციელებდა და კვლავაც განუხრელად განახორციელებს საბჭოთა მთავრობა, ასრულებს რა თავისი ხალხის ნებას.

მთელი მსოფლიოს მშვიდობის დიადი საქმისათვის მებრძოლთა ერთიან ბანაკში საბჭოთა კავშირთან ერთად თავდადებით იბრძვიან დიდი ჩინელი ხალხი, სახალხო-დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები და კაპიტალისტური ქვეყნების მრავალი მილიონი უბრალო და პატიოსანი ადამიანი.

თავის ძალებში დარწმუნებული, თავისი დიდი ბედნიერი სამშობლოს ბატონ-პატრონი, შემოქმედებითი ძალებითა და ენერგიით აღსავსე საბჭოთა ხალხი სიხარულით ეგებება ახალ, 1954 წელს.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის სახელით გულითადად გილოცავთ მომავალ ახალ წელს, ძვირფასო ამხანაგებო.

დაე ეს წელი იყოს კიდევ უფრო დიდი შრომითი მიღწევების, ჩვენი სამშობლოს ძალებისა და ძლიერების ზრდის, მისი თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცების წელი! ყველა საბჭოთა ადამიანისათვის მატერიალური და კულტურული სიკეთის გამრავლების წელი!

დაე ეს წელი იყოს საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელების წელი, მთელ მსოფლიოში მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობის დამყარების დიდი მიღწევების წელი!

გილოცავთ ახალ წელს, ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი ღამით. ფოტო ვ. სავოსტიანოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ახალგაზრდობის საახალწლო ნაძვისხე და გალ-მასკარადი კრემლის დიდ სასახლეში

დაიწყო საზამთრო არდადეგები. მოსკოვის ასეულ ათასობით მოსწავლე ამ არდადეგებს გაატარებს თეატრებში, მუზეუმებში, სტადიონთა სასრიალოებზე, პარკებში, თხილამურით სეირნობას მოაწყობს მოსკოვის მიდამოებში.

1 იანვარს დღის 12 საათზე კრემლის დიდ სასახლეში საკავშირო პროფსაბჭო და საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტი მოსკოვის სკოლების მოსწავლეებისათვის აწყობენ საახალწლო ნაძვისხეს, რომელიც 10 იანვრამდე გაგრძელდება.

მოსწავლეები ბევრ საინტერესო რამეს ნახავენ. მათთვის გიორგის დარბაზში გაამართება სპეციალური კონცერტები, თამაში, ცეკვა და სხვა გასართობი. საახალწლო ნაძვისხის მონაწილენი ნახავენ კრემლის ისეთ ღირსშესანიშნაობას, როგორიც არის გიორგის და ვლადიმერის დარბაზები, წახნაგოვანი დარბაზი, ძველი კოშკები, ისინი გაეცნობიან საჭურვლის დარბაზს, მიძინებისა და ხარებობის ტაძრებს და სხვა ისტორიულ ძეგლებს. დღესასწაულის ყველა მონაწილეს გადაეცემა საჩუქარი.

1 იანვარს საღამოს 9 საათზე კრემლის დიდ დარბაზში შეიკრიბებიან მოსკოვის საწარმოთა მოწინავე მუშაკები, დედაქალაქის უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტები, სამხედრო სასწავლებელთა მსმენელები, მეათე კლასების მოსწავლეები, კომკავშირული მუშაკები. მათთვის იმართება დიდი კოსტიუმირებული ბალ-მასკარადი.

ბალის დროს გაიმართება კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ დედაქალაქის სამხატვრო კოლექტივები და მოსკოვის თეატრების, ფილარმონიისა და ესტრადის ცნობილი მსახიობები. სასახლის დარბაზებში გაიყიდება ცოცხალი ყვავილები, საკარნავალო ნიღბები, სხვადასხვა სუვენირი.

კრემლის სასახლის საახალწლო ნაძვისხისა და ბალ-მასკარადის ბილეთებს ანაწილებენ ქალაქ მოსკოვის რაიონული ორგანიზაციები. (საკდესი).

1954 წელი

ახალი, ათას ცხრაას ორმოცდათოთხმეტი წლის პირველი დღეა გათენდა... როგორც ჩვენი ცხოვრების დიადი და გმირული წიგნის უკანასკნელი გვერდი, გადაიფურცლა ათას ცხრაას ორმოცდაკუმეტი წლის კალენდრის უკანასკნელი ფურცელი.

გამარჯობა, ახალო, 1954 წელო, მეხუთე ხუთწლედის სახელოვანო წელო, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის წელო, მზიანო და ნათელო, მშვიდობისათვის, კაცობრიობის ბედნიერებისათვის ბრძოლის წელო!

გამარჯობა, მომავალო!

ახალი წლის მიჯნაზე საბჭოთა ადამიანი ამ სიტყვებს ამბობს ღია გულით, ნათელი მომავლისადმი. ხვალინდელი დღისადმი ღრმა რწმენით.

გაბედული ოცნებით შევცქერით ახალ, 1954 წელს, რომელიც ახალ სიხარულს, ახალ გამარჯვებას მოგვიტანს.

1953 წელი! ეს იყო მშვიდობიანი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის წელი, მილიონობით საბჭოთა ადამიანის ნაყოფიერი შემოქმედებითი შრომის წელი, კომუნიზმის მშენებლობის საქმეში საამაყო გამარჯვებათა წელი.

გასული წელი სავსე იყო დიდი მოვლენებით. ადამიანები ყოველთვის ლაპარაკობენ ყველაზე ძვირფასზე, ყველაზე სამახსოვროზე. ხოლო რამდენი რამ გვაქვს ძვირფასი და სამახსოვრო! პირველი სიტყვები, რომლებიც გამოხატავენ მადლობის უღრმეს გრძნობას, მიმართულია გმირული კომუნისტური პარტიისადმი, საბჭოთა სამშობლოსადმი. ამატომაც გაისმის პირველ სადღეგრძელოდ ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის ყველა ხალხთა ენაზე:

— გაუმარჯოს ჩვენს დიად საბჭოთა სამშობლოს, გაუმარჯოს ბრძოლებში გამოწრთობილ კომუნისტურ პარტიას!

1953 წელს პარტიამ ახალი ამოცანები დაუსახა საბჭოთა ხალხს, ისტორიის ნამდვილ შემოქმედს, გმირ ხალხს. ამ წელმა ერთხელ კიდევ თვალნათლივ გვიჩვენა, რომ ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მთავარი ამოცანაა, უმაღლესი კანონია. სწორედ ამ წელს მიღებულ იქნა პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანესი დადგენილებანი, რომლებიც მიმართულია ფართო მოხმარების სამრეწველო და სასურსათო საქონლის წარმოების გადიდებისა და მათი ხარისხის გაუმჯობესებისაკენ, საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი განვითარებისაკენ, სოციალისტური სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობისაკენ.

საბჭოთა ადამიანების უდიდესი აქტივობა, მათი პატრიოტიზმი, ამოუწურავი შემოქმედებითი ინიციატივა გამოხატულებას პოულობს საყოველთაოსახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში. 1953 წელი აღინიშნა შეჯიბრების შემდგომი აღმავლობით, წარმოების ნოვატორთა რიგების ზრდით. პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული ადამიანები კიდევ უფრო მაღლა სწევენ სოციალისტური შეჯიბრების დროშას, ბელ თავიანთ ძალებს რაზმავენ მეხუთე ხუთწლედის გადაჭარბებით შესრულებისათვის, სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ახალ, 1954 წელს, ისევე როგორც 1953 წელს, საბჭოთა ხალხი რწმენით შესცქერის მომავალს. იგი მიდის წინ, სოციალიზმისა და დემოკრატიის მძლავრი ბანაკის ავანგარდში. დიდ საბჭოთა კავშირთან ერთად თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნები თავიანთ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

მტკიცედ და თამამად გაისმის საბჭოთა ადამიანების ხმა მთელ მსოფლიოში ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად. „საბჭოთა მთავრობისათვის, ყველა ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის, — აღნიშნავს ამხანაგი გ. მ. მალენკოვი, — მშვიდობის განმტკიცებისა და ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფის საქმე ტაქტიკისა და დიპლომატიური მანევრირების საკითხს როდი წარმოადგენს. ეს ჩვენი გენერალური ხაზია საგარეო პოლიტიკის დარგში“.

საბჭოთა ადამიანები, ჩვენი მეგობრები თავისუფალ ჩინეთში, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში ახალ წელს შეხვდნენ მტკიცე რწმენით და იმის ღრმა შეგნებით, რომ ბევრი რამ გააკეთეს გასულ წელს. სოციალიზმისა და დემოკრატიის მძლავრი და მზარდი ბანაკი ახალ წელს შეხვდა ახალი არხებით, ახალი ჰიდროელექტროსადგურებით, მეცნიერებისა და კულტურის სასახლეებით, ყოველივე იმით, რაც ადამიანის საბედნიეროდ და სასიხარულოდ კეთდება.

იმ დროს, როცა მტკიცდებიან და იზრდებიან ძალები სოციალიზმისა და დემოკრატიის მძლავრი ბანაკისა, რომელიც პროგრესისა და აყვავების გზით მიდის, კაპიტალის ქვეყნებში იზრდება უმუშევრობა, ძლიერდება მშრომელთა ფართო მასების გაღატაკება. კაპიტალის ქვეყნები ახალ წელს შეხვდნენ მომავლის წინაშე შიშის ძრწოლით. ისინი ახალ წელს შეხვდნენ ახალი სამხედრო ბაზებით, გამალებული შეიარაღებით, სახალხო მეურნეობის მილიტარიზაციით. იმპერიალისტური სამყაროს მილიონობით ადამიანი, რომლებსაც ძარცვავენ კაპიტალისტური მონოპოლიები, იმედის თვალს აპყრობს საბჭოთა კავშირს — დიდ მშვიდობისმოყვარე სოციალისტურ სახელმწიფოს — და გამოთქვამს მზადყოფნას გააძლიეროს ბრძოლა მშვიდობისათვის, პურისათვის, არსებობისათვის.

საბჭოთა სამშობლოსათვის კანონიერი, პატრიოტული სიამაყის გრძნობით ხვდება საბჭოთა ადამიანი ახალ, 1954 წელს, ხვდება და თავის თავს მიმართავს: რა დიდი ბედნიერებაა ცხოვრობდე ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში, რა დიდი სიხარულია ცხოვრობდე და შრომობდე კომუნიზმის მშენებლობის ეპოქაში, იყო ამ ნათელი მომავლის მშენებელი! შენ შენი შრომით გზას უკაფავ ყველა ხალხის ნათელ მომავალს, გზას უკაფავ მთელ კაცობრიობას ბედნიერებისაკენ, კომუნიზმისაკენ!

საბჭოთა ხალხი მომავლისაკენ მიდის მტკიცე ნაბიჯით, თავის ძალებში დარწმუნებული. დიდია მისი წარმატებანი კომუნიზმის მშენებლობაში, მაგრამ კიდევ უფრო გრანდიოზულია მის წინაშე დასახული ამოცანები. კიდევ უფრო ბრწყინვალეა ჩვენი ხალხის მომავალი, რომელსაც მოაქვს ახალი ბედნიერება, ახალი სიხარული. დრო კომუნიზმის სასარგებლოდ მუშაობს!

მოგილოცავთ ახალ წელს, ამხანაგებო!

კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობის ბრძნული ხელმძღვანელობით წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

მოსკოვი ახალ წელს ეგებება

მოსკოვში საუცხოო ამინდია. თოვლით არის დაფარული სკვერები, ბულვარები, მოედნები. როგორც მუდამ, დიდებულად გამოიყურება წითელი მოედანი. გავა ცოტა დრო, და მის სივრცეზე მთელი ჩვენი ქვეყნის გასაგონად გაიხმაურებს კრემლის კურანტების მელოდიური წკრიალი, რომელიც აუწყებს, რომ დადგა ახალი, 1954 წელი.

სიხარულით აღსავსეა მოსკოველთა გული. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად სახელოვნად იშრომეს მათ 1953 წელს. დედაქალაქისა და მისი ოლქის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა წლიური პროგრამა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ასობით მილიონი მანეთის სხვადასხვა საქონელი. შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად გადიდდა ფოლადის, ლითონსაჭრელი ჩარხების, ავტომობილების, ძალოვანი ტრანსფორმატორების, საკისარების, ზუსტი ხელსაწყოების წარმოება.

სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა რიგებში დგანან ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის, „დინამოსა“ და სატრანსფორმატორო ქარხნების, შჩერბაკოვის სახელობის კომბინატის, კალინინის სახელობის შალის ძაფსართავი ფაბრიკისა და სხვათა კოლექტივები.

დღეს ლენინის გორაზე მოსკოვის უნივერსიტეტის გაკაშკაშებულ შენობაში, რომელსაც სამართლიანად ეწოდება მეცნიერების სასახლე, ათასობით სტუდენტი შეიკრიბება ახალი წლის გრანდიოზულ ნადიმზე. ბევრი მოსკოველი დღესასწაულს შეხვდება ახლად აგებულ სახლებში. ახალ ბინებში შევიდნენ მეტროპოლიტენელები, ქარხანა „ბორეცის“, ფაბრიკა „კრასნაია კრუტილშჩიცის“ მუშა-მოსამსახურენი, ენერგეტიკოსები, მედიცინის მუშაკები, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლები.

ახალდასახლებულნი იძენენ, ავეჯს. არტელ „მოსკოვსკი პოსილნის“ შოფერმა მიხეილ განინმა მარტო ერთ დღეს მაღაზიიდან მოსკოველთა ახალ ბინებში გადაზიდა თხუთმეტი პიანინო. მისმა ბრიგადამ ამ ბინებში მიიტანა აგრეთვე პირველხარისხოვანი ავეჯის მრავალი გარნიტური.

1953 წელს მწყობრში ჩადგა მეტროს ახალი სადგურები, კულტურის სასახლეების, კინოთეატრების, ბიბლიოთეკების, საბავშვო ბაღებისა და ბაგების, სამკურნალო დაწესებულებების შენობები. კარგი საჩუქარი მიიღო კალინინის რაიონის ახალგაზრდობამ. რამდენიმე დღის წინათ ენთუზიასტების გზატკეცილზე გაიხსნა ახალი სტადიონი. ახლა მის ვეებერთელა ყინულის მოედანზე სრიალებენ ათასობით მოციგურავენი.

საინტერესო, მრავალფეროვანი პროგრამა მოამზადეს მოსკოვის თეატრების კოლექტივებმა ახალი წლისათვის.

ბევრი ნაწარმოები შექმნეს მოსკოველმა მხატვრებმა. მათს მზარდ ოსტატობაზე შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ იმ ნამუშევრების მიხედვით, რომლებიც წარმოდგენილია რუსეთის სფსრ მხატვრების ნაწარმოებთა გამოფენაზე, მოსკოველ მოქანდაკეთა, წიგნის გამფორმებელთა და სხვ. ნამუშევრების გამოფენებზე.

სადღესასწაულო საღამოებზე აყენებენ „ბალეტ-ბალეტ“, „ბოიარ ორშა“, „ბალეტ ბალეტ“, „ბალეტ ბალეტ“, „ბალეტ ბალეტ

ახალი წელი, ახალი პერსპექტივები

სოფლისათვის!

ჩვენი ქარხნის კოლექტივმა წლიური სახელმწიფო დავალება ვადამდე — 1 დეკემბრისათვის 100,7 პროცენტით გაანაღდა.

გეგმის გადამეტებით გამოვუშვით ათასობით თუთის ხის სასხლავი მაკრატელი, 500 ცალი ვენახის სასხურებელი აპარატი. ავითვისეთ და გამოვუშვით კასროვანი სასხურებელი და ტორფსაჭრელი აპარატი. ქარხნის პროდუქციამ მოწონება დაიმსახურა როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ახალ წელს მნიშვნელოვნად გადიდდება პროდუქციის გამოშვება. წელს ავითვისებთ ახალ პროდუქციას — ციტრუსების შესაწამლ აპარატს — „ავტომაქსს“.

მივაწოდოთ სოციალისტურ სოფლის მეურნეობას კიდევ უფრო მეტი და უკეთესი ხარისხის იარაღ-მანქანები, ვიდრე შარშან, — ასეთია ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა ერთსულოვანი გადაწყვეტილება.

ბ. კვერღელიძე,
სახოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების ქარხნის მთავარი ინჟინერი.

სამშობლოს საკეთილდღეოდ

1953 წლის საწარმოო დავალება ვადაზე ადრე შეასრულე, სამშობლოს გეგმის გადამეტებით ასობით ტონა მაღალხარისხოვანი ფოლადი მივეცი. წლის მანძილზე განვახორციელე 90-ზე მეტი ჩქაროსნული დნობა, ღუმელების გამძლეობა საშუალოდ 200 დნობამდე ავიყვანე და ორი მეფოლადე გამოვზარდე.

ჩემს ცხოვრებაში მიმდინარე წელი იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ ქართულ ენაზე დიდი ტირაჟით გამოიცა ბროშურა, რომელშიც გადმოცემულია ჩემი ბრიგადის მუშაობის ხერხები და მეთოდები.

ახალი სამეურნეო წლისათვის ვკისრულობ: 1954 წლის გეგმა ერთი თვით ადრე შეასრულო, ყველა დნობის 75 პროცენტი განვახორციელო ჩქაროსნული მეთოდით, ღუმელების გამძლეობა საშუალოდ 220 დნობამდე ავიყვანო, გავაუმჯობესო ფოლადის დნობის მეთოდები და კიდევ სამი მეფოლადე გამოვზარდო.

შალვა კუხალეიშვილი,
სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე.

ახალი სიმფონია

ახალ, 1954 წელს, დაახლოებით მაისივნისში დავამთავრებ მე-2 სიმფონიას. ახალი სიმფონია მიძღვნილია საბჭოთა ადამიანის ინტელექტუალური ზრდისადმი.

ა. ბალანჩივაძე,
სტალინური პრემიის ლაურეატი, კომპოზიტორი.

დამთავრდა უკანასკნელი დღე 1953 წლისა. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა საბჭოთა ხალხების მხარდამხარ მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოიპოვეს საწარმოებსა და კოლმეურნეო მინდვრებზე, კულტურისა და მეცნიერების ფრონტზე.

მაგრამ საბჭოთა ადამიანებს როდი სჩვევიათ მიღწეულით დაკმაყოფილება. დადგა ახალი წელი და ჩვენი ხალხიც იწყებს ახალი ენერგიით მუშაობას უფრო სახალხო წარმატებათა მოსაპოვებლად.

ქვემოდ დაბეჭდილი საახალწლო ანკეტა მოგვითხრობს ჩვენი მკითხველების ახალ გეგმებზე, ახალ პერსპექტივებზე.

საქმეები და ამოცანები

განვლილ — 1953 წლის მიწურულისათვის დავამთავრე ჩემი ახალი პიესა „გზა მომავლისა“.

რუსი და ქართველი ხალხების ისტორიული მეგობრობა — აი ჩემი ახალი პიესის თემა. ამ ნაწარმოებში ვცადე ამესახა ქართველი ხალხის ისტორიული სწრაფვა ჩვენს მომმე დიდ რუს ხალხთან თავისი ბედის სამუდამოდ დაკავშირებისა, რასაც მან ბოლოს მიაღწია ერეკლე მეფის პოლიტიკის შედეგად. ერეკლეს მიერ არჩეულ ამ ისტორიულ გზას ვუწოდე „გზა მომავლისა“.

მკითხველი ამ პიესას მოკლე ხანში ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე წაიკითხავს და მიმდინარე სეზონშივე ნახავს თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე.

ახალი წლიდან განზრახული მაქვს ვიმუშაო პიესაზე, რომელიც ასახავს ჩვენი თანამედროვე ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილის ცხოვრებას.

დრამატურგი ი. მოსაშვილი.

შემოქმედებითი გეგმები

გასულ წელს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო კოლექტივთან ერთად, კომპოზიტორ დ. თორაძესთან მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობით შევქმენით ახალი თანამედროვე ქართული საბალეტო სპექტაკლი „მშვიდობისათვის“.

ახალ, 1954 წელს თეატრს მიზნად აქვს დასახული აღადგინოს დიდი რუსი კომპოზიტორის პ. ჩაიკოვსკის კლასიკური ბალეტი „გედების ტბა“, რაზეც ამჟამად ვმუშაობთ.

ვწერ აგრეთვე სცენარს მხატვრული ფილმისათვის, რომელშიც აისახება ქართული საბჭოთა ბალეტის განვითარების გზები.

ჩემს შემოქმედებითს გეგმებში შედის აგრეთვე გასტროლები მოსკოსა და ლენინგრადში. გარდა ამისა, სსრ კავშირის დიდი თეატრის მიწვევით სეზონის მეორე ნახევარში იქ უნდა განვახორციელო ბალეტ „ლაურენსიას“ დადგმა.

ვ. ჯაბუკიანი,
სტალინური პრემიის ლაურეატი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

აღმავლობის გზით

გასული წელი ჩვენი კოლმეურნეობის ეკონომიკის ზრდის წელი იყო. შარშან თვითეულ შრომადღეზე კოლმეურნეებმა ავანსად მიიღეს 8 კილოგრამი მარცვლეული, აგრეთვე სხვა პროდუქტები და ფული.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებით აღფრთოვანებული კოლმეურნეები დაუღალავად შრომობენ, რათა 1954 წელს მიაღწიონ საზოგადოებრივი მეურნეობის ყველა დარგის ახალ, მძლავრ აღმავლობას.

წელს ხეხილის ბაღს გავაშენებთ 15 ჰექტარზე, ახალი ჰექტარები შეემატება ვენახებს, ორჯერ გაიზრდება ბოსტნეული კულტურების ფართობი. 1954 წელი იქნება ჩვენს კოლმეურნეობაში საოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის ფართოდ დანერგვის წელი. კარტოფილს დავრგავთ კვადრატულ-ბუდობრივი წესით. მალე დავამთავრებთ მეცხოველეობის ფერმის სრულ მექანიზაციას.

ი. ქრისტესიაშვილი,
სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

გავაღიდებთ პროდუქციულობას

ჩვენმა მეცხოველეობის ფერმამ კარგად დაამთავრა გასული წელი. ერთ მეწველ ძროხაზე მივიღეთ 1.460 ლიტრი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.200 ლიტრისა.

1954 წელს ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ თვითეულ მეწველ ძროხაზე მივიღოთ 1.800 ლიტრი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.200 ლიტრისა, ფართოდ დავნერგოთ ფერმაში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია.

ვ. გელაშვილი,
ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ლაშეს კოლმეურნეობა „იმედის“ მეცხოველეობის ფერმის გამგე.

4.000 ლიტრი რძე თვითეულ ძროხაზე

მწველავის შრომა საპატიოა. ეს ჩვენ კარგად გვაქვს შეგნებული. მე ვუვლი 10 ძროხას. შარშან თვითეულ ძროხაზე მივიღე 3.100 ლიტრი რძე.

ჩაბმული ვარ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ჩემი ვალდებულებაა წელს თვითეულ ძროხაზე მივიღო 4.000 ლიტრი რძე. ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ წარმატებით გავანაღდო ნაკისრი ვალდებულება და 1954 წელს მივაღწიო ახალ წარმატებას.

ე. ბერიძე,
ბათუმის რაიონის სოფელ მახინჯაურის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის შერეული კომისიის კომუნიკე

შესაბამისად ოქმისა, რომელიც ხელმოწერილია მოსკოვში 1953 წლის 22 აგვისტოს, იმის შესახებ, რომ შეწყვეტილიყო გერმანიის რეპარაციათა გადახდევინება, და სხვა იმ ღონისძიებათა შესახებ, რომ შემსუბუქდეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსურ-ეკონომიური ვალდებულებანი, რომლებიც დაკავშირებულია ომის შედეგებთან, 1954 წლის 1 იანვრიდან საბჭოთა კავშირმა უსასყიდლოდ გადასცა საკუთრებად გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას გერმანიაში არსებული მანქანათმშენებელი, ქიმიური, მეტალურგიული და სხვა საწარმოები, რომლებიც სსრ კავშირის საკუთრება გახდა რეპარაციების გადახდის წესით.

აღნიშნულ საწარმოთა გადაცემის შესახებ სათანადო აქტებს 1953 წლის 31 დეკემბერს ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირისა და გერმანიის მხარეთა რწმუნებულებმა.

მხარეთა მიერ საწარმოების გადაცემა-მიღების დროს აღინიშნა, რომ იმ ხნის განმავლობაში, რაც საწარმოები სსრ კავშირის საკუთრებაში იყო, საბჭოთა კავშირმა დიდი კაპიტალი დაბანდა ამ საწარმოებში. საწარმოები აღჭურვა თანამედროვე მოწყობილობით. ამ საწარმოებში მოეწყო მთელი რიგი ახალი სახეობის წარმოება, მათ შორის მსხვილი საგლინავი მოწყობილობის, დიდ სიმძლავრეთა ცემენტის ქარხნების მოწყობილობის, მეტალურგიული ამწეების, ახალი სახეობის წნეხების წარმოება. მეტი წილი აღნიშნული მოწყობილობის წარმოება ხორციელდებოდა საბჭოთა პროექტებისა და ნახაზების მიხედვით. საბჭოთა სპეციალისტების მონაწილეობით გაუმჯობესდა წარმოების ტექნოლოგიური პროცესები.

აღნიშნულ ღონისძიებათა შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა გადაცემულ საწარმოთა სიმძლავრეები და საერთო ტექნიკური დონე.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას ყველა საწარმო საკუთრებად გადაეცა აშუშავებული, ყველა საწარმო რენტაბელურია, უზრუნველყოფილია დაკვეთებით, ნედლეულისა და მასალების მარაგით და საჭირო საბრუნავი საშუალებებით, რითაც შექმნილია პირობები ამ საწარმოთა შემდგომი ნორმალური და შეუფერხებელი მუშაობისათვის.

ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს საწარმოთა მუშაკებმა ვადამდე შეასრულეს წლიური გეგმა

სსრ კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს საწარმოთა მუშაკებმა 20 დეკემბერს ვადამდე შეასრულეს საერთო პროდუქციის 1953 წლის სახელმწიფო გეგმა. 29 დეკემბრისათვის ვადამდეა შესრულებული მეტწილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა საქონლის გამოშვების გეგმა. (საკდესი).

ძვირფასი საჩუქარი

ახალმა წელმა ახალი სიხარული მოუტანა საბჭოთა აჭარის დედაქალაქის — ბათუმის მშრომელებს. მდიდარი რევოლუციური ტრადიციების მქონე ქალაქი 1954 წელს შესანიშნავი საწარმოო მიღწევებით ხვდება. ბათუმელ მშრომელებს ყოველთვის ახსოვთ ამხანაგ სტალინის უკვდავი სიტყვები, წარმოთქმული ახალწლის დღეს ჯერ კიდევ მუშათა რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე, ბათუმის მოწინავე მუშების არალეგალურ კრებაზე:



სურათზე: კულტურის სასახლის მაყურებელთა დარბაზი.

— აი უკვე თენდება. მალე მზე ამოვა. დადგება დრო, და ეს მზე ჩვენთვის იკაშკაშებს.

ეს ნანატრი დრო დადგა, ეს მზე ჩვენთვის, მშრომელებისათვის კაშკაშებს.

...ახალი სოციალისტური ბათუმი, განახლებული ქალაქი. მუშათა უბნებს ყოველწლიურად ემატება ახალი შესანიშნავი ნაგებობანი. აი ერთი კუთხე საცხოვრებელი დაბისა, სადაც ბინადრობენ ბათუმელი მენავთობეები. მათ წარმატებით გაანაღდეს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი და შესანიშნავი საახალწლო საჩუქარი მიიღეს: მონუმენტური შენობა — მენავთობეთა კულტურის სასახლე, რომლის მშენებლობა 5 მილიონამდე მანეთი დაჯდა. სასახლეს აქვს არქიტექტურულად გაფორმებული 700-ადგილიანი მაყურებელთა დარბაზი, ბიბლიოთეკა-სამკითხველო, კაფე, მრავალი ოთახი საწრეო მუშაობისათვის.

კომისიამ მიიღო და საექსპლოატაციოდ გადასცა აგრეთვე მენავთობეთა სამსართულიანი 25-ბინიანი საცხოვრებელი სახლი ლენინისა და ნინოშვილის ქუჩების კუთხეში სტალინის სახელობის ზღვისპირა პარკთან. აქ უკვე შეახლდნენ და ახალ წელს ახალ ბინებში შეხვდნენ ქარხნის მოწინავე ადამიანები — ძველი მენავთობე სტახანოველი მებეტონე ა. მერკვილაძე, მოწინავე ოპერატორი ს. მკრტიჩიანი, ელექტრომონტიორი გ. მახარაძე, ქარხნის მთავარი ტექნოლოგი ხ. დოლიძე და სხვები.

ბათუმი ორი სამყაროს მოჯნაზე მდებარეობს. აქ ჩქეფს ბედნიერი, ხასიხარულო ცხოვრება, რომელიც ხალხებს მისცა კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ.

სულ სხვა სურათია ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გადაღმა. სულ სხვანაირად ხვდებიან ახალ წელს თურქეთის გაღატაკებული მშრომელები, რომლებსაც ყოველდღიურად ძარცვავენ მემამულეები და ბურჟუაზია. საკმარისია აღინიშნოს: თურქეთის პრესის ცნობით, ამჟამად 6 მილიონ თურქ გლეხს არა აქვს მიწა, ან აქვს იმდენი, რამდენიც ყოფნით იმისათვის, რომ თავი ირჩინონ წლის 3-4 თვის განმავლობაში. ორი სამყაროს მოჯნაზე ცხადად ისახება ორი პერსპექტივა — აქეთ სინათლე და ბედნიერება, იქით — სიბნელე და უპატრონობა.

დადგება დრო, და ეს მზე იკაშკაშებს მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის!



სურათზე: კულტურის სასახლის ცენტრალური ფოიეში.

მეგობრობა

ალექსანდრე ჯეიშვილი

არის რაღაც იდუმალი, გრძნობათა ამშლელი ეამთაცვლის ამ მნიშვნელოვან დროს, როცა საათი ძველი წლის გასაცილებლად თორმეტჯერ ჩამოჰკრავს. ლანქერივით მოზღვავდება მოგონებები. თვალწინ დაგიდგება ყოველივე, რაც განგიცდია მთელი წლის მანძილზე. ფიქრობ, თუ რა მოხდა ყველაზე ძალუმად ჩვენს გულს, რამ გვაგრძნობინა ყველაზე მძაფრად ჩვენი დიადი ეპოქის სუნთქვა.

ჯერ როდის უთქვამს ქართველ ხალხს: „მარტოხელა კაცი პურის ჭამშიაც ბრალიაო“. ახლა ეს განცდა ჩვენში თითქოს მთელ ერებზე გადავიდა. მშვიდობიანი შრომის ფერხულში არიან ჩაბმული, თუ იარაღით ხელში ამ შრომის ნაყოფს იცავენ, საბჭოთა კავშირის ხალხთა შვილები შეეჩვივნენ ერთმანეთისათვის მხარის მობმას, მონამგლეობას. ჭირსა და ლხინში ერთად ყოფნა მათ სულიერ მოთხოვნილებად იქცა.

დღითიდღე იზრდება ერთ ოჯახად შეკრულ საბჭოთა ხალხთა შვილების — მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის მეგობრობა, თანამშრომლობა. აბა, თვალი გადაავლეთ მხატვრების, არქიტექტორების, კომპოზიტორების კავშირთა პლენუმების, ჩვენი აკადემიის, უნივერსიტეტის, ინსტიტუტების სამეცნიერო სესიების ანგარიშებს უკანასკნელი წლების მანძილზე. იშვიათი იყო, რომ მათში მომმე რესპუბლიკებიდან ჩამოსულ მეგობრებს არ მიეღოთ მონაწილეობა.

* * *

მოჰქუხს შმაგი დებედა, ღარისთვალში გახერგილ ციკლოპურ ლოდებს თავს ეცლება. გალმა-გამოღმა მდებარე ვიწრო ჭალები, ატმის და გარგარის ბაღები, პაწაწინა ბაღ-ბოსტნები მდინარის სათარეშოა. მატარებელი სამხრეთისაკენ, არარატის ველისაკენ მიეშურება. ტელეგრაფის მავთულები, თითქოს გიგანტური საქანელაა, ხან ზემოთ აიჭრებიან, ხან კისრულით ეშვებიან თავქვე, ხეობისკენ. ორთქლმავლის ამონასუნთქი თეთრი ბოლქვები დაწეწილი ლეჩაქივით ეფინება ტყით დაბურულ ციცაბო ფერდობებს.

ერთ-ერთ კუპეში გურული იავნანა გაისმის, ნაზი ნანინა, გულს რომ ისე ესალბუნება, როგორც გრილი ნიავი გახურებულ შუბლს ცხელ ზაფხულის დღეში.

ნაზ, მეოცნებე ჰანგზე ამოაქვთ ხმა მთქმელსა და მოძახილს. მხოლოდ კრიმანჭული მიიწევს ზემოთ, ვერცხლის ზარივით რეკს, ნაირფერი ოქრომკედით ქარგავს მუსიკალურ ქსოვილს.

„სიყვარულმა გული დამწვა,
სილამაზემ თვალები!“.

ლექსის პირველ ტერფშივე იჭრებიან კრიმანჭულის საჩუქურთმო ხვიულები, ამზიურებენ სევდიან ჰანგს.

ეს სომხეთში მიდიან ნატანებელი კოლმეურნეები თავიანთ მეგობრებთან, სოფელ ნალბანდიანელ კოლმეურნეებთან, რომლებთანაც სოციალისტური შეჯიბრება აქვთ გამართული. ბევრჯერ იმგზავრეს დელეგაციებმა ნალბანდიანიდან ნატანებში და ნატანებიდან ნალბანდიანში. ამ დელეგაციის მონაწილენი სომხეთს პირველად მიემართებიან.

მატარებელში რომ ჩასხდნენ და დაიძრნენ, ღელავდნენ, ოდნავ კრთოდნენ კიდეც. საპატიო და პასუხსაგები მოვალეობა დააკისრა კოლმეურნეობამ სოციალისტური შრომის გმირებს დარეჯან ტაკიძეს, ლოლა გოგოტიშვილს, ივანე გორგილაძეს, პარტიული ორგანიზაციის მდივანს გიორგი წითლიძეს, მერგოლურებს ისიდორე და შურა ცენტერაძეებს, კულტურის სახლის დირექტორს იროდი დონაძეს. ამ ვეებერთელა კოლმეურნეობის მთელი წლის შრომის შედეგები უნდა გააცნონ ნალბანდიანელ მეგობრებს, თავიანთ მუშაობაზე ილაპარაკონ, არც თავი შეირცხვინონ და არც კოლმეურნეები შეარცხვინონ. გაარკვიონ სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა, მოამზადონ ახალი ხელშეკრულება.

აი დაიწყო სიმღერის პირველი მუხლი. მაინც რა ლაღად, თამამად ეღერს ქართული იავნანა ამ ხეობაში! დებედას ტალღების ჩქეფა ბანს ეუბნება ჩვენებურ კრიმანჭულს. ასე ლაღად, თამამად მხოლოდ მშობლიურ მხარეში მღერიან. ქართველ კოლმეურნეებსაც ასეთი განცდა აქვთ. თვალუწვდენი საბჭოთა ქვეყნის რა კუთხეშიც არ უნდა მოხვდეს ჩვენი ადამიანი, თავს ყველგან ისე გრძნობს, როგორც საკუთარ ოჯახში. დირიჟორობს ისიდორე ცენტერაძე, გურულ ყაიდაზე რომ წაუკრავს თავი მოსირმული ყაბალახით. მალე გახალისდნენ. წამოიწყეს „ხელხვავი“, შემდეგ „შვიდკაცა“, „ვახტანგური“.

ეს სილაღე, მზიური სიმღერები და სიცილი, ნატანებელი მეჩაიეების კუპედან რომ მოისმის, მთელ ვაგონში გულითად გამოძახილს პოულობს. მგზავრები ჩვენი კუპეს გარშემო შემოიჯარნენ, ეცნობიან ოქროს ვარსკვლავებით და ორდენებით მკერდგაჩირაღდნებულ დელეგაციის წევრებს. სიმღერაში ჩამოერივნენ, მაგრამ „ხასანბეგურას“ ვერ შებედეს. „ციცინათელა“ და „სულიკო“ წამოიწყეს, შემდეგ „მერცხალო—წიწერნაკზე“ და ნახად მეღერ „მთის ქალიშვილზე“ — „სარი ახჩიკზე“ გადავიდნენ.

სასიმღეროს საცეკვაო გადაეწნა. თითქოს თვითმოქმედების საღამოაო. წამოვიდა მეგობრული მოსაკითხი. სომხეთის ბარაქიანი მიწის ძღვენი: სურნელოვანი ატამი და ბროწეული, ყურძენი და კონიაკი. დელეგატებმაც გახსნეს ბოხჩები, გურული ხაჭაპურები, მრგვლად მოხარშული დედლები, სანთლის არაყი ამოალაგეს. გაისმის სადღეგრძელოები, მგზნებარე სიტყვები, მოწონების შეძახილები: „აი მეგობრობა“, „აი ნამდვილი მეგობრობაც“, „აი ბარეკამუთიუნ!“, „აი ისკაკან ბარეკამუთიუნ!“.

* * *

უფრო და უფრო ღრმად იჭრება ეს მეგობრობა ასობით და ათასობით კილომეტრით დაშორებული ადამიანების შეგნებასა და ყოფაცხოვრებაში.

მაგონდება ტიმონინოელების ჩამოსვლა ორთაჭალის კოლმეურნეობაში. ასე მოკლედ ვუწოდებთ მათ ტიმონინოელებს. არ არის საჭირო დავურთოთ, რომ საქმე ეხება მთელ საბჭოთა კავშირში ცნობილ მოსკოვის ოლქის რამენსკოეს რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობას, რომელზეც სექტემბრის პლენუმზე ამხანაგმა ნ. ხრუშჩოვმა თქვა: „ჩვენი ქვეყნის ყველა კოლმეურნეობას რომ მიეღწია მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის დონისათვის, ამ ამოცანის შესრულება კი ყოველ კოლმეურნეობას შეუძლია, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნის პრობლემა გადაწყვეტილი იქნებოდა“.

ტიმონინოელთა მეგობრობა გარეუბნის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობასთან იმის ერთი ბრწყინვალე მაგალითია, თუ როგორ მტკიცდება ხალხთა დიადი მეგობრობა.

სექტემბრის პლენუმის შემდეგ ჩაისახა ეს შეჯიბრება ტიმონინოელებსა და ორთაჭალელებს შორის, მაგრამ ამ მოკლე ხნის განმავლობაშიც ისეთი ცხოველმყოფელი ფორმებით გაიშალა, რომ მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო.

ორი თვის წინათ ქართველი კოლმეურნეები ეწვიენ ტიმონინოელებს, გაეცნენ მათს მიღწევებს. ნოემბრის დამდეგს კი მოსკოვის ოლქის კოლმეურნეები ჩამოვიდნენ ორთაჭალის კოლმეურნეობაში.

წილად მხვედ დავსწრებოდი მეგობრების შეხვედრას.

ტიმონინოელები მეცხოველეობის ფერმაში რომ შევიდნენ, ბოსელი ახალგადაკეთებული იყო. თეთრ, ქათქათა ხალათებში გამოწყობილი მწველავები თავს დატრიალებდნენ ფურებს, რომელთაც დაწმენდილი ბეწვი უბზინავდათ. ელექტროშუქი ახლახან გამოეყვანათ, ძველი ფიცრები აეყარათ და ასფალტის იატაკი დაეგოთ, ავტოსარწყეველები გაემართათ, ფერმის შენობა გაეფართოებინათ.

სულ რაღაც სამიოდე კვირის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ორთაჭალელთა დელეგაცია მოსკოვის ოლქიდან შინ დაბრუნდა, მათს კოლმეურნეობაში ბევრი რამ შეცვლილიყო და მთელი ეს გარდატეხა მუშობაში ამ გამოცდილების ურთიერთ გაზიარების, გულითადი მეგობრობის შედეგად მომხდარიყო. ტიმონინოელებს უხაროდათ, რომ მათი გამოცდილება ასე გამოადგათ მეგობრებს, რომ სოციალისტურმა შეჯიბრებამ ფრთა შეასხა ქართველ კოლმეურნეთა შთანაფიქრს.

ახლა ორთაჭალელებს კუდი ფერმა როდი აქვთ, მაგრამ სტუმრებს თავიანთი ფურები რომ აგონდებათ, აქაურ ძროხებს მოწონებით არ შეჰყურებენ. ველის წითელი ჯიშის მეწველი პირუტყვი ჰყავთ მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ფერმაში, მაგრამ ყველა ეუნაკლო როდია.

— ჩვენი ფერმის ძროხა ნამდვილი რძის ფაბრიკაა, — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნიკოლოზ პუზანჩიკოვი. ბევრი მათგანი იძლევა 4.500 ლიტრ რძეს.

ტიმონინოელებმა აქვე, ფერმის დათვალიერების დროს გადაწყვიტეს, რომ ორთაჭალელებს თავიანთი ფერმიდან გამოუგზავნონ საუკეთესო ჯიშიანი დეკეული.

ჩვენ, მხატვრებსა და მწერლებს, რომ შეგვეძლოს ავსახოთ ის უშუალო, გულის სიღრმიდან მომდინარე მოლვაწეობა და სიხარული, რომელიც იმ წუთებში სტუმრების და მასპინძლების სახეზე ინატებოდა, მკითხველს განვაცდევინებდით იმ დიდ და ახალ გრძნობებს, რაც ყოველდღე იბადება, იზრდება და ძლიერდება კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ადამიანების გულში.

მაინც რა უჩვეულო, რა ახალია ეს განცდები! მომაგონდა ძველ, კერძომესაკუთრულ, მორალზე აგებული ანდაზა: „ჩემი ურგები ქოთანი ქვას და მაწონი ძაღლსო“. კარის მეზობელზე იტყოდნენ ამას ძველათ.

აქ კი, იმ სიშორიდან ჩამოსული ტიმონინოელები ისე გულიანად შეეხაროდნენ ორთაჭალის კოლმეურნეობის ფერმაში წველადობის მოსალოდნელ ზრდას, თითქოს ეს რძე მათს კასრებში ჩაედინებოდა, მათივე შრომადღეების ღირებულებას გაზრდიდა.

ორთაჭალელ და ტიმონინოელ კოლმეურნეებს შორის გულითადი მეგობრობა დამყარდა. მათი სურვილია, რომ ამ გრძნობამ უფრო მაგრად გაიდგას ფესვები, საუკეთესო ნაყოფი გამოიღოს. ამიტომ ებადებათ ახალი აზრები, სახავენ ახალ გეგმებს, თუ რით დაეხმარონ ერთმანეთს, რომ კიდევ უფრო წინ წასწიონ საზოგადოებრივი მეურნეობა, გაზარდონ სოციალისტური სოფლის მეურნეობის ხვავი და ბარაქა, ხელი შეუწყონ ჩვენი ქვეყნის შემდგომ აყვავებას.

* * *

როგორ შეიძლება ახალი წლის ამ ბედნიერ წუთებში არ მოგაგონდეს ქართველი და უკრაინელი ხალხის შვილების — მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის წლითიწლობით მზარდი მეგობრობა. როგორ შეიძლება არ გაიხსენოთ ტყიბულისა და დონბასის მეშახტეების, ჭიათურის და ნიკოპოლის მაღაროელების, გენიჩესკის და მახარაძის რაიონების კოლმეურნეების, უკრაინელი და ქართველი მეცნიერების, ინჟინრების გულითადი მეგობრობა. ეს მით უფრო გულს ხვდება დღეს, როცა ახლოვდება რუსი და უკრაინელი ხალხების ძმური დაკავშირების სამასი წლისთავი.

ჩვენი ცხოვრების ეს შესანიშნავი მოვლენა მკაფიოდ გვაგრძნობინებს, თუ რაოდენ გააფართოვა ოქტომბრის რევოლუციამ სიტყვა სამშობლოს ფარგლები, როგორ გაალრმავა ჩვენმა ეპოქამ ყველა კეთილშობილი ადამიანისათვის ესოდენ ძვირფასი სიტყვის შინაარსი, რაოდენ გაამდიდრა ხალხთა ლენინურ-სტალინურმა მეგობრობამ ამ განუმეორებელ სიტყვასთან დაკავშირებულ გრძნობათა და განცდათა სამყარო. ამ დიად თემაზე არა ერთი და ორი მხატვრული ნაწარმოები შეიქმნა და კვლავაც შეიქმნება.

„კარი გამიღე!,“ — მეკვლესავით შემოგვძახის ახალი წელი.

მაგონდება ბავშვობა. საახალწლო ჩიჩილაკი, დაშაქრული ცომისაგან გაკეთებული, ძელივით მაგარი ფოჩებიანი შაქარლამა და ერთადერთი ფორთოხალი, რომელსაც ბედნიერი წლისათვის დაიბედებდა ღარიბი გლეხის ოჯახი.

დღეს კი ჩვენი სუბტროპიკული რაიონების ნარინჯოვანი ბაღებიდან ათეული და ასეული მილიონი მანდარინის ნაყოფი იგზავნება საახალწლოდ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში — მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, შორეულ აღმოსავლეთში.

საქართველოს მრავალ ჩაის ფაბრიკაში გრიალებენ როლერები, ცახცახებენ დამხარისხებელი ცხრილები. სურნელოვანი ქართული ჩაი განუწყვეტლივ იგზავნება ჩვენი დიდი საშობლოს სხვადასხვა ქალაქსა და სოფელში. ეს „მეგობრობის სასმელი“, როგორც მას უწოდებენ, ქართულ ხელთან, ღვინოსთან ერთად ბევრგან დაამშვენებს და გაახალისებს საახალწლო სუფრას.

თბილისი საახალწლოდ

აინთო საახალწლო ნათურები დედაქალაქში.

კიდევ უფრო გაჩირაღნდნენ თეატრებისა და მაღაზიების ვიტრინები, ხალხს ძლივს იტევენ კლუბები და კინოთეატრები.

ცეცხლისმფრქვევი თვალების ბრიალით დაქრიან ავტომობილები, მათი ისარივით ნატყორცნი შუქი კვეთს ზამთრის მსუბუქ ნისლს და უერთდება საზეიმოდ მორთული ქალაქის ნაირფერ ილუმინაციას.

დიდრონ, დაორთქლილ მინებს იქით ბუნდოვნად მოჩანან მომხმარებლები, სასურსათო და სამრეწველო მაღაზიებში რომ ირევიან. ადამიანები ანგარიშს არ უწევენ ყინვას. ქუჩებში გაცხოველებული მოძრაობაა. იშვიათად თუ შეხვდებით ხელცარიელ გამვლელს. რა არ მიაქვთ — სურსათი, ხილი, ღვინოები, ციტრუსები, ტკბილეული, საჩუქრები — ყველაფერი, რაც შეამკობს საახალწლო მაგიდას, ყველაფერი, რხც სიხარულსა და სიამოვნებას მოჰგვრის ოჯახის წევრებს, ნაცნობ-მეგობრებს.

მთელ წელიწადს წარმატებით შრომობდნენ თბილისელები. მათი შემოქმედებითი შრომა ქმნიდა ლითონსაჭრელ მანქანებს და საბჭოთა ადამიანების სამსახურში აყენებდა მათ, ხორცს ასხამდა და მთელი ჩვენი ქვეყნის საფეიერო მრეწველობას აწვდიდა უახლეს საქსოვ დაზგებს, ამზადებდა სოფლისათვის განკუთვნილ იარაღ-მანქანებს და უგზავნიდა მექანიზატორებს, ქსოვდა შალსა და აბრეშუმს და ახალი ტანსაცმლით მოსავდა მშრომელებს. დედაქალაქის მშრომელები მთელი ენერგიით ზრუნავდნენ მეტი პროდუქციისათვის, ხარისხის გაუმჯობესებისათვის, შრომის ნაყოფიერების გაიდიდებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის.

აჯამებენ თბილისელები შემოქმედებითი შრომის შედეგებს და კმაყოფილებით იღიმებიან. კიროველი ჩარხშენებლები სიამოვნებით აღნიშნავენ, რომ წლიური გეგმა გადაჭარბებით გაანაღდეს, მემაუდეებს ახარებთ, რომ მათ გეგმის გადამეტებით ასი ათას მეტრზე მეტი შალეული მოქსოვეს. 26 კომისრის სახელობის ქარხნის კოლექტივი ამაყობს იმით, რომ ორი მილიონი მანეთით იმაზე მეტი პროდუქცია მისცა სახელმწიფოს, ვიდრე საწარმოო პროგრამით იყო გათვალისწინებული. წარმატებით შეასრულეს დავალებები მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებმა, სავაჭრო ორგანიზაციების მუშაკებმა.

რამდენ მშენებლობას ჩამოხსნეს ხარაჩოები ამ დღეებში! რამდენ ოთახში მოუსვა უკანასკნელი ყალამი მღებავმა, ღიმილით დაულოცა ბინა ახალ მობინადრეს. ბევრი თბილისელი ახალ, ნათელ, თბილ და ლამაზ ოთახებში იხდის საახალწლო დღესასწაულს. სიხარულით ეგებებიან ახალწლის დადგომას კერამიკის კომბინატის მუშები, რომლებიც შაუმიანის ქუჩაზე სახლის ახლახან დამთავრებულ კორპუსში დაბინავდნენ. უნივერსიტეტის ქუჩაზე დამთავრდა ორი ხუთსართულიანი დიდი შენობა, რომლებიც საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუშებისა და მოსამსახურეებისათვის არის განკუთვნილი.

ქუჩებიდან გაიკრიფნენ მგზავრები, კანტიკუნტადღა მოჩანან, ბარაქით სავსე მაგიდებს შემოუსხდნენ.

... არსებობის უკანასკნელ წუთებს ითვლის ძველი წელი. აი დამთავრდა კიდეც.

კრემლის კურანტებით აუწყებს მსოფლიოს თავის შემოსვლას ახალი წელი.

კეთილი იყოს შენი მოსვლა, ახალო წელო!

ს. ხარაზიშვილი.

ჭიათურელ მაღაროელთა საახალწლო წერილი უკრაინელ თანამოძმეებს

ჭიათურა. (საკ. კორ.). მთელი ქვეყანა ემზადება რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავისათვის. ეს არის ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხთა დიადი დღესასწაული, ხალხთა მეგობრობის დიდი ზეიმი.

ამ შესანიშნავი თარიღისათვის მზადების დღეებში უფრო გაძლიერდა მეგობრული კავშირი ქართველ და უკრაინელ მაღაროელებს შორის.

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივი სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია ნიკოპოლის მარგანეცის ტრესტის მაქსიმოვის სახელობის მაღაროს კოლექტივთან. ამ დღეებში ჭიათურელებმა საახალწლო წერილი გაუგზავნეს უკრაინელ თანამოძმეებს. ჭიათურელები წერენ, რომ სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებით მაღაროს კოლექტივმა დიდი წარმატება მოიპოვა — წლიური გეგმა ერთი თვით ადრე შეასრულა, სამჯერ მოიპოვა საკავშირო პირველობა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

ჭიათურელი მაღაროელები უკრაინელ ძმებს ახალ წელთან ერთად ულოცავენ მთელი საბჭოთა ხალხის დიად დღესასწაულს — რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს.

დასასრულ ჭიათურელები წერენ: „თებერვალში აღინიშნება საბჭოთა საქართველოს 33 წლისთავი. გვესტუმრეთ, ძვირფასო მეგობრებო, ამ ზეიმზე. ერთმანეთს გავუზიაროთ ჩვენი გამოცდილება, კვლავ განვაგრძოთ ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება, რათა ახალ წელს ახალი წარმატებები მოვიპოვოთ“.

მაღაროს კოლექტივის დავალებით წერილს ხელს აწერენ:

> მაღაროს დირექტორი **შ. პაქსაშვილი**, პარტიული კომიტეტის მდივანი **გ. ყიფშიძე**, მაღაროს კომიტეტის თავმჯდომარე **დ. ბრეგვაძე**, მთავარი ინჟინერი **გ. წიწილაშვილი**, მოწინავე ადამიანები **დ. კილაძე, ვ. გაფრინდაშვილი, გ. შეყლაშვილი, გ. თოდაძე** და სხვ.

მოგილოცავთ

იოსებ ნონეშვილი

ყველას,
ყველას,
ვის გულსაც
შრომის ცეცხლი აღაგზნებს,
მოგილოცავთ ბედნიერ
და მშვიდობის ახალ წელს.

დე, მოლოცვის სიტყვები
გაისმოდეს კარისკარ,
მოგილოცავთ ინჟინერს,
მუშასა და ჯარისკაცს.

შენ, ფოლადის მდნობელო,
მოგილოცავ
ახალ წელს,
ბარაქალა შენს საქმეს,
შენს ძარღვიან
მაგარ ხელს.

კოლმეურნე ვაჟკაცო,
მოგილოცავ
ახალ წელს,
სიხარული ემატოს
შენს კერას და
მაღალ ჭერს.

ქალვაჟებო, ახალ წელს
მოაქვს ნატვრა ამგვარი:
მკიდეს ცოდნის მოსავალს
ხუთიანის ნამგალი.

ეგ თვალები ღამეშიც
ტრფობის ცეცხლით მზეობენ,
მოგილოცავთ ახალ წელს,
ქორწილებს და ძეობებს.

ზარზეიმით, სიმღერით
მოჰქრი, წელო ახალო,
რომ სამშობლოს ახალი
სიხარული ახარო.

მოსდევ მთების კიბეებს,
მზე მოგიძღვის მნათობი.
ველებს მოაშრიალებ,
როგორც კალთებს დათოვლილს.

გხვდებით როგორც ძმადნაფიცს
და სანატრელ მეგობარს.
დილით შენი ღიმილი
გარიჟრაჟი გვეგონა.

უფრო ააგზგიზე
შრომის ციცხლი ქალაქად,
ჩვენს ველ-მინდვრებს მიეცი
უფრო მეტი ბარაქა.

გვსურს მშვიდობის ორგულებს
შენც ულეწდე მახვილებს
და მშვიდობით მოსულ
გზამშვიდობით წახვიდე.

მაყარივით სიმღერით
მოჰქრი, წელო ახალო,
რომ საბჭოეთს ახალი
სიხარული ახარო.

მოდიხარ, რომ ახარო
ჩვენს ქვეყანას ახოვანს:
კომუნიზმთან ერთი წლით
ახლა უფრო ახლო ვართ.

მოსკოვს გასაგზავნი ბარათი

რევაზ მარგიანი

ახა, დაგვიდგა წელი ახალი,
ციდან ცვივიან თოვლის ფთილები
და მეც ბავშვივით გულგანახარი
ქვეყნის სიხარულს ვეხმატკბილები.

უკვე დარეკეს კრემლის ზარებმა,
ხმა მშობლიური მესმის შორიდან:
— ბედნიერებით და ბრწყინვალებით
გამარჯვებათა წელი მოვიდა!

და ამ ბედნიერ წუთებში ჩემთან,
ძვირფასო ძმებო, თქვენც მეგულებით,
გაჩირაღდნებულ სამშობლოს ვხედავ,
ზეიმს ვესწრები დიდი ბუნების.

შენთან ვარ, ძმაო, გაბრწყინვებული
შენც ჩემსკენ თვალი გაქვს მოპყრობილი,
შენგან არასდროს გაწბილებული
კვლავ შენთან არის ერთი ძმობილიც.

შენთან ვარ ფიქრით და მიხარია,
გიყურებ, ვტაბები და ვიღიმები,
ხედავ, ვით მინა გამჭვირვალეა
კავკასიონის მთაგრეხილები.

მოსკოვის ნაცნობ ქუჩასაც ვხედავ,
შენს სახლში ტკბილად შეყრილ ძმობილებს,
ჭიქის წკრიალით ადგებით ერთად
და მეც სიხარულს შემატყობინებთ.

ჩვენ ერთმანეთის სიცოცხლით ვხარობთ
და ჩემიანიც თქვენი ღვიძლია!
ბავშვებს კისკისით ვით სოფლის წყაროს
ჩემს შეძახილზე გაუღვიძნიათ.

თქვენ ალბათ ისმენთ ქართულ მოძახილს,
მესმის ელვარე ჭიქის წკარუნი, —
დღეგრძელი იყოს ხალხთა ოჯახი,
ჩვენი სიმღერა და სიხარული.

თენდება! დილა რა ბრწყინვალეა —
გადაპენტილი ჩანს ხეხილები,
ძმობისთვის თურმე გამჭვირვალეა
კავკასიონის მთაგრეხილებიც.

ძმობისთვის თურმე არაფერია,
არც მთები, ზღვები და არც ველები.
თუ გული გულობს, შეერთდებიან
ვით სიმღერები ჩვენი ხელებიც.

დიდება მამულს, იყოს დღეგრძელი
მისი სიცოცხლე და სიხარული,
ბედნიერების საბრძანებელი
და გამარჯვებულ ხალხთა მამული!

ჩვენ ხალხთა ძმობის დიდების შევსვათ,
რაც გვასულდგმულებს და რაც მზარდია,
პარტიას ვაშა უპირველესად,
დღეგრძელი იყოს ჩვენი პარტია!

ახალი წელი

ამ სახელწოდებით ახლახან გამოვიდა კრებული, სადაც მოთავსებულია საბავშვო ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, პიესები, გასართობები.

წიგნი იხსნება მოკლე წერილებით „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი“ და „იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი“.

შემდეგ ვკითხულობთ ცნობილი ქართველი პოეტის, ბავშვთა გულის მესაიდუმლის — გიორგი ქუჩიშვილის ლექსს „მეკვლე“:

> **ხარობდეთ! ფეხი შემოდგი!**
> **გილოცავთ ხონჩა-ძღვენითა!**
> **დაიზარდენით, ისწავლეთ,**
> **დრო გაატარეთ ლხენითა**
> **და, რომ ქვეყანას მშობლიურს**
> **თავი მოჰქონდეს თქვენითა,**
> **სულ ხუთიანებს იღებდეთ**
> **კლასიდან კლასში ფრენითა!**

პოეტის სიტყვებში გამოთქმულია მხურვალე სურვილი, რითაც დღესაც ერთხელ კიდევ მიმართავს ნორჩ თაობას ჩვენი ხალხი.

ა. კონონოვის მოთხრობა „ნაძვისხე სოკოლნიკში“ გადმოგვცემს დიდი ლენინის მზრუნველობას ბავშვებზე, ხოლო იოსებ ნონეშვილის ლექსი — ბავშვების უსაზღვრო სიყვარულს კაცობრიობის უკვდავი ბელადისადმი.

ჩინებულია უხუცესი ქართველი მწერლის ნინო ნაკაშიძის მოთხრობა „ახალი წლის დილას“. ბავშვთა სულიერი სამყაროს ღრმა ცოდნით არის დაწერილი მოთხრობა „დიტოს ჯარისკაცი“, რომლის ავტორია სტალინური პრემიის ლაურეატი ლეო ქიაჩელი. ნორჩი მკითხველები ინტერესით წაიკითხავენ და ჩაუფიქრდებიან მარიჯანის მშვენიერ მოთხრობას „ძველ წელიწადს გავატანოთ“.

მაყვალა მრევლიშვილი და ქეთევან ქუჩუკაშვილი ერთსა და იმავე თემას ეხებიან, [illegible] ძმაფრი პოეტური ძალებავეთით ხატავენ ზამთრის [illegible] ატყვია გიორგი [illegible] ხრობებს. განსაკუთრებით გახარებთ მისი მადლიანი ქართული.

საახალწლო ნაძვისხის ირგვლივ შეკრებილი პატარები სიხარულით გაიმეორებენ თავიანთი საყვარელი პოეტის ი. გრიშაშვილის სტრიქონებს:

> **ნაძვის ხეო, ნაძვის ხეო,**
> **ლამაზო და მშვენიერო,**
> **როგორ მინდა შენს გარშემო**
> **ვიცეკვო და დავიმღერო!**

კრებულში მოთავსებულია სტალინური პრემიის ლაურეატის გრიგოლ აბაშიძის ლექსები „ახალი წელი დამდგარა“ და „ზამთარი“. ამ ნაწარმოებებში ნათლად ჩანს, რომ ქართული ლექსის ეს საუკეთესო ოსტატი თანაბარი მონდომებით და პასუხისმგებლობით წერს როგორც დიდებისათვის, ისე პატარებისათვის.

თბილია და ამაღელვებელი ანდრო თევზაძის ლექსი, რომლის ნორჩი გმირიც ასე მიმართავს თანატოლებს:

> **მომავალი იმედს ანთებს,**
> **მე უთქვენოდ როგორ გავძლო!**
> **გთხოვთ მეწვიოთ,**
> **გთხოვთ მობრძანდეთ,**
> **ზეიმი მაქვს საახალწლო.**
> **გოზინაყით დაგიხვდებით,**
> **ვინც მეწვევით ჩემი კბილა,**
> **რომ ახალწლის ყოველი დღე**
> **გაატაროთ ასე ტკბილად.**

საბჭოთა მოსწავლეებს ერთმანეთის მიმართ ამხანაგური დამოკიდებულებისა და მეგობრობის გრძნობას უნერგავს ანდრო ლომიძის მოთხრობა „მოულოდნელი საჩუქარი“. ბავშვთა თვითმოქმედი წრეებისათვის საუცხოო მასალებს წარმოადგენენ კ. გოგიაშვილისა და თ. ჩხაიძის პატარა პიესები.

კრებულში მოთავსებული მრავალი საინტერესო ნაწარმოების ავტორები არიან როგორც ცნობილი ოსტატები, ისე ახალგაზრდა მწერლები: გიორგი კაჭახიძე, ნიკოლოზ ჩაჩავა, ანა ხახუტაშვილი, მარიკა მიქელაძე, ილია სიხარულიძე, არნო ონელი, ლიდია მეგრელიძე, ალეკო შენგელია, თეიმურაზ ჯანგულაშვილი, მურმან ლებანიძე, ვახტანგ გორგანელი, მაგალი თოდუა, ნინო აღნიაშვილი, ზაქარია შერაზადიშვილი...

თარგმანები რუსულიდან შესრულებულია რ. მარგიანის, მ. მეძმარიაშვილის, ვ. ძიძიგურის და სხვათა მიერ.

ასეთი საჭირო წიგნის დროზე გამოცემისათვის საბლიტგამს მხოლოდ მადლობა ეთქმის, კარგი საახალწლო მადლობა.

ხუტა ბერულავა.

სამრეწველო და სასურსათო საქონლის მაღაზიები

დღითიდღე იზრდება საქართველოს დედაქალაქი თბილისი, ფართოვდება სავაჭრო ქსელიც. მარტო ახალწლისათვის ქალაქში გაიხსნა რამდენიმე ახალი მაღაზია.

უნივერსიტეტის ქუჩაზე საქჰიდროენერგოშენის მუშაკთა საცხოვრებელი სახლის პირველ სართულში გახსნა დიდი მაღაზია, რომელსაც აქვს სამრეწველო, საბაკალიო და სასურსათო განყოფილებები. აქ იყიდება დიდძალი შალის, აბრეშუმის, ბამბის ქსოვილები, ტრიკოტაჟი, ფეხსაცმელი და სხვ.

26 კომისრის რაიონის ერთ-ერთ მუშათა უბანში გაიხსნა სამი კეთილმოწყობილი მაღაზია — ავეჯის, სასურსათო და პურის მაღაზია-პავილიონი.

კოლხეთის მიწაზე

1.

კოლხეთის ველები კიდემდე გადათეთრებულია. ჩაის ბუჩქები და ციტრუსები თოვლს დაუფარავს. მიწამდე დახრილან ტოტებშეჭირხლული ევკალიპტები. დაბურული ციდან თოვლის უთვალავი ფანტელები ცვივა. ყინავს, მაგრამ ბუნების სტიქიას ვერ შეუჩერებია საკოლმეურნეო სოფლის მაჯისცემა. ახალი წლის მოლოდინით გამხნევებული საბჭოთა ადამიანები ფხიზლად სდარაჯობენ თავიანთ ბაღ-ბოსტანს.

შემოქმედებით შრომაში მიიწურა ძველი წელი. კალენდარის სამას სამოცდაოთხი გვერდი გადაფურცლეს ზუგდიდელმა კოლმეურნეებმა და ძველი და ახალი წლის მიჯნაზე დარჩენილ უკანასკნელ დღეს გმირული შრომის შედეგებს აჯამებენ.

სოფლის სურათები

ამ პატარა შტრიხის გაცნობის შემდეგ არ შეიძლება არ დაინტერესდეთ კოლმეურნეობის გამგეობის საქმიანობით.

საწერ მაგიდას უზის კოლმეურნეობის თავმჯდომარე შალვა კეიდია — მორჩილი ტანის, მკვირცხლი გამოხედვის ახალგაზრდა, რომელიც ეს-ეს არის ციტრუსების სანერგიდან დაბრუნებულა. თავმჯდომარეს გარს ახვევიან ანგარიშწარმოების მუშაკები, აგრონომები, ბრიგადირები, კოლმეურნეები.

ძველი წლის შედეგებზე ბჭობენ.

— მთლიანად შევასრულეთ სოიის ჩაბარების წლიური გეგმა, — ამბობს კოლმეურნეობის საწყობის გამგე აკაკი ჩხაპელია.

— თქვენ რაზე მოსულხართ? — ეკითხება შალვა მეღორეობის ფერმის გამგეს შოთა ნაყოფიას.

— უკვე დავამთავრეთ ახალი ფერმის მშენებლობა, მუშები ანგარიშს ითხოვენ, — იყო პასუხი.

შალვამ მოლარე გამოიძახა და დაავალა მუშებისათვის ანგარიში გაესწორებინა.

შემდეგ თავმჯდომარემ კოლმეურნე კალისტრატე გერგედავას მოუსმინა.

— თქვენი დავალებით თბილისის საახალწლო ბაზრობაზე გასაგზავნი პროდუქტებით ავტომანქანა დატვირთეთ. მივლინების ბარათზე ხელია მოსაწერი.

თბილისელი მგზავრის გასტუმრების შემდეგ ჯერი ციტრუსების სანერგე მეურნეობის გამგე აგრონომ არსენ დარასელიაზე მიდგა.

— ციტრუსების სანერგე ფარდულში დავამთავრეთ ზამთრის საყოფი შენის მთლიანად მიზიდვა. წუხელ თერმომეტრმა მინუს რვა გრადუსი უჩვენა. მოსალოდნელია ყინვები უფრო გაძლერდეს. უნდა გათბეს ყველა ღუმელი. დამატებით დამჭირდება მუშახელი.

თავმჯდომარემ აგრონომის მოთხოვნაც დააკმაყოფილა.

კაბინეტში შემოვიდნენ პარტბიუროს მდივანი ჯოტო გუგუჩია და კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე ვალერიან დარასელია.

— შემიძლია გაცნობოთ, რომ ზუგდიდიდან საკოლმეურნეო საწყობამდე დავამთავრეთ ას ორი ტონა მინერალური სასუქის გადმოტანა, — თქვა გუგუჩიამ.

— მე კი უფრო გაგახარებთ, — დაიწყო დარასელიამ, — ეს-ეს არის დავამთავრეთ კოლხეთის დაბლობზე თიქორის არხის გაყვანის სამუშაოები, მთელი მუშახელი უვნებლად გადმოვიყვანეთ ავტომანქანით.

თავმჯდომარის სახეზე კმაყოფილების ღიმი აღიბეჭდა. შემდეგ იგი ტელეფონით დაუკავშირდა მეცხოველეობის ფერმის ბრიგადირს მიხეილ პეტკოვს. ციტრუსების სანერგე მეურნეობასა და ვენახში სასუქის გატანის მდგომარეობა იკითხა. რაკი იქიდან დამაკმაყოფილებელი პასუხი მიიღო, ზოოტექნიკოსი ვერა სალია გამოიძახა, რომელიც მეცხოველეობის ფერმების გეგმის შესრულებას აჯამებდა.

გამოცდილი ზოოტექნიკოსი ზუსტად მოუთხრობდა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მეძროხეობის, მეღორეობის, მეთხეობის, მეცხენეობის ფერმების საამაყო მაჩვენებლებზე. ზოოტექნიკოსი განსაკუთრებით შეჩერდა მეძროხეობის ბრიგადირის მიხეილ პეტკოვის მიღწევებზე.

— პეტკოვისათვის, — ამბობდა ზოოტექნიკოსი, — ჩაბარებული გვყავდა ცხრა სული ძროხა, რომელთაგან მიღებული და შენარჩუნებულია ცხრა ხბორძის მიღების წლიური გეგმა თერთმეტი თვის მონაცემებით შესრულებულია ასოცდაცამეტი პროცენტით. თვითეულ მეწველ ძროხაზე მიღებულია საშუალოდ ორი ათას ას ოცდათექვსმეტი კილოგრამი რძე, რაც გეგმით გათვალისწინებულზე ერთიორად მეტია...

განუწყვეტლივ შემოდიოდნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარის კაბინეტში აგრონომები, ბრიგადირები, ანგარიშწარმოების მუშაკები და ყველა მათგანი წლიური გეგმის საამაყო მაჩვენებლებზე ლაპარაკობდა...

3.

თოვს. კოლხეთის გადაპენტილ ველებზე ზღვაური დაქროლებს სიფრიფანა ფანტელებს. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვთხოვეთ ჩაის პლანტაციების დასათვალიერებლად წამოგვყოლოდა.

—ძნელია დათოვლილ პლანტაციებში გავლა, მაგრამ დაინტერესებული თვალი აქაც ბევრ რამეს შენიშნავს, — თქვა შალვამ და ჩვენი სურვილისამებრ პლანტაციებისაკენ წაგვიძღვა.

ჩვენ მივყვებოდით ლარივით გადაჭიმულ ჩაის მწკრივებს და სათუთად მოვლილი ბუჩქები წელამდე გვცემდა.

— ჩაი ჩვენი კოლმეურნეობის შეძლებულობის ძირითადი წყაროა, — მოგვითხრობდა შალვა. — თუ ომის წინა წლებში ჰექტარზე საშუალოდ ათას ორასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოგვყავდა, ამჟამად სამი ათას ხუთასი კილოგრამი მოგვყავს. მომავალი წლისათვის ვფიქრობთ კიდევ უფრო გავზრდით მოსავლიანობას. თუ კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი ამჟამად შვიდ მილიონს აჭარბებს, ხუთი მილიონ ნახევარ მანეთზე მეტი ჩაის ფოთლიდან გვაქვს მიღებული. წელს შრომადღეზე თექვსმეტი მანეთი გაიცემა ფულად. მომავალი წლისათვის, ვფიქრობთ, ეს ციფრი კიდევ უფრო გაიზრდება. კოლმეურნეობაში მექანიზაციის დანერგვა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მომსახურების გაძლიერება, ახალი აგრონომებისა და სპეციალისტების კოლმეურნეობაში მოსვლა შეუდარებლად აამაღლებს მოსავლიანობას და გაზრდის შრომადღის ღირებულებას.

ვთხოვეთ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მოეთხრო კოლმეურნეთა დღევანდელ ყოფაზე, მათ ცხოვრებაზე.

— რაღა შორს წავიდეთ! აი გახედეთ ამ პლანტაციის გადაღმა, ხეხილის ბაღში ორსართულიანი ქვიტკირის სახლი რომ მოჩანს, კოლმეურნე ანდრო ტაბაღუას ეკუთვნის. მას რვა შვილი ჰყავს. სამი საბჭოთა არმიაშია. დანარჩენები აქვე, კახათის საშუალო სკოლაში სწავლობენ. წელს ანდროს ოჯახმა ათას შვიდასამდე შრომადღე გამომიუშავა და 30 ათას მანეთზე მეტი მიიღო. წარსულში ღარიბად მცხოვრებმა ორსართულიანი სახლი აშენა.

ბევრი ასეთი მაგალითის დასახელება შემიძლია. შრომა შრომაა, და კულტურული დასვენების, გართობის, სპორტის საკითხებიც არა გვაქვს დავიწყებული.

— სპორტის რომელ სახეს უფრო ეტანებით?

— ცხენოსნობას. გვყავს ჩემპიონი ცხენები, რომლებიც აქვე კოლმეურნეობის ფერმებში გავზარდეთ. ფერმაც ახლოს არის, უსათუოდ უნდა გაჩვენოთ.

ცხენებმა თავმჯდომარის ხმა შორიდანვე იცნეს. ყალყზე დადგა არაბული ჯიშის ცხენი „ბუიანი“ — ორგზის ჩემპიონი ორკილომეტრიან დოღში, თვალებიდან ნაკვერცხლებს ჰყრის ყორნისფერი „არაბი“ — ორგზის ჩემპიონი ოთხკილომეტრიან დოღში, მზრუნველი პატრონის მოახლოებაზე ხვიხვინებს ყაბარდოს ჯიშის ცხენი „ლიახვი“ — ორგზის ჩემპიონი ამანათრბენში.

— ახლა კოლმეურნე ცხენოსნებს არ იკითხავთ? — გვითხრა კეიდიამ, — ცხენოსანთა გუნდის ხელმძღვანელმა კოტე ჯიქიამ შარშან ცხენოსანთა საკავშირო შეჯიბრებაზე ყაბახში პირველობა მიიღო. ჩვენმა ცხენოსნებმა მირიანე გუგუჩიამ, ვენედი ენუქიძემ, გრიგოლ მოსიამ, დროროთე ჯგვიშიამ მრავალჯერ მოიპოვეს ცხენოსანთა სარაინთაშორისო შეჯიბრებაზე პირველობა ისინდში, ყაბახში, დოღში, მარეულაში, ცხენბურთში...

4.

ბარაქიანი საკოლმეურნეო საწყობების, სასიმინდეების, მარნების, მეცხოველეობის მექანიზებული ფერმების, კარგად მოვლილი ჩაისა და ციტრუსების პლანტაციების დათვალიერების შემდეგ მეფუტკრეობის ფერმასთან შევჩერდით. პატარა ბაღჩაში ორასამდე ოჯახი ფუტკარია. ფუტკარს თავს დასტრიალებს სამოცი წლის მოხუცი კოლმეურნე, უკრაინელი პორფილე ფილეტკო.

— მეფუტკრეობა ჩემი საყვარელი საქმეა, — ღიმილით ამბობს ჭარმაგი მოხუცი, — ორ ათეულ წელზე მეტია კახათში დავფუძნდი და ჩემს ქართველ მომმეებს, თაფლივით ტკბილ მეგობრებს, ფუტკრის მოშენებაში ვშველი. ჩვენთან ერთად კახათის მიწაზე მრავალი უკრაინელი მუშაობს. ოდესელი მიხეილ პეტკოვი და მისი მეუღლე ლენა ლისენკო მეცხოველეობის განვითარებისათვის იღვწიან. დონბასელი პაშა ტიშენკო მეფრინველეობის ფერმის დაუღლელი ბურჯია. მე და ჩემი ცოლშვილი ქართველი მომმეების სიყვარულმა დნეპროპეტროვსკიდან კახათში ჩამოგვიყვანა.

ახლა, როცა მშობლიური უკრაინა რუსეთთან შეერთების სამასი წლისთავისათვის ემზადება, აგიტატორები სისტემატურად გვესაუბრებიან საქართველოსა და უკრაინის მეგობრულ ურთიერთობაზე. რამდენ კახათელს უბრძოლია გერმანელი ფაშისტებისაგან უკრაინის მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის. კახათის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ვიქტორ კუდავამ ამას წინათ მიამბო, თუ რა დიდი ბრძოლები გადახდა მას კრივოი როგის, ნიკოლაევის, ოდესის, მელიტოპოლის, მარიუპოლის და უკრაინის სხვა ქალაქების განთავისუფლებისათვის. არასოდეს არ დამავიწყდება ერთი ამბავი, რომელიც მან რომელიღაც ცენტრალური გაზეთიდან წამიკითხა. ამ რამდენიმე წლის წინათ ერთი ქართველი მეცნიერი მუშაკი თურმე კიევს ეწვია. დნეპრის ნაპირას გორაკზე გაშენებული ბაღნარის შუა გულში მან ნახა რამდენიმე საფლავი, სადაც სამამულო ომის გმირები განისვენებენ. ამ საფლავთა შორის იყო ქართველი მეომრის სიყვარულით მოვლილი მუდმივი სამყოფელი. საფლავს მოხუცი უკრაინელი ქალი და ორი რუსი ქალიშვილი მიუახლოვდნენ და სამი თაიგულით შეამკეს. შეკითხვაზე — ეს თქვენი ახლობელი ხომ არ არისო, მათ უპასუხეს:

— დიახ, ახლობელია. ჩვენ ახლა ყველანი ახლობელნი ვართ, ის ჩვენთვის დაიღუპა. მას აქ არავინ ჰყავს, და აი ჩვენ თითქმის ყოველ კვირას მოვდივართ აქ, ვუვლით მის საფლავს.

ჭეშმარიტად წრფელი და ადამიანური განცდებია.

ქართველები სხვა მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლებთან ერთად იბრძოდნენ რუსეთისა და უკრაინის მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის. ჩვენ, რუსები და უკრაინელები — პეტრე კალინინი, ალექსანდრა ბროვჩენკო, მიხეილ პეტკოვი, ლენა ლისენკო, პაშა ტიშენკო და მათ მხარდამხარ მეც, ვიბრძვით საქართველოს მიწა-წყლის აყვავებისათვის. დღეგრძელი იყოს მშობლიური კომუნისტური პარტია, რომელმაც ჩვენში მეგობრობის ასეთი ხალასი გრძნობები აღზარდა და სხვადასხვა ერის ადამიანები ერთიან საბჭოთა ოჯახად გაგვაერთიანა.

ახალ წელს, როცა საათი თორმეტს დაჰკრავს, ვადღეგრძელებ ჩვენს უფროს ძმას დიდ რუს ხალხს, ვადღეგრძელებ ხალხთა ძმობისა და ერთიანობის შემოქმედს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას.

ელ. უგილავა.

კახათი, 31 დეკემბერი.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში



გუდაკეშტი. კლემენტ გოტვალდის სახელობის ელექტროქარხნის მღარავმა წარმოების ნოვატორმა იანოშ პალხაზმა შექმნა მოწყობილობა, რომელიც ჩარხზე ერთდროულად ორი დეტალის დამუშავების შესაძლებლობას იძლევა. ახლა იანოშ პალხაზი ნორმას 300 პროცენტით ასრულებს. წარმოების მოწინავე ნოვატორი უნგრეთის მშრომელთა პარტიის საამქროს პარტიული ორგანიზაციის მდივანია.
სურათზე: იანოშ პალხაზი მუშაობის დროს.
„მადიარ ფოტოს“ ფოტოსურათი.

პოლონეთის მანქანათმშენებელი მრეწველობა 1953 წელს

ვარშავა. (საკდესი). პოლონეთის მანქანათმშენებლები დიდი შრომითი მიღწევებით ხვდებიან ახალ წელს. ვადაზე რამდენიმე დღით ადრე შესრულდა მანქანათმშენებელი მრეწველობის წლიური საწარმოო გეგმა. წელს ათვისებულია 80-ზე მეტი ახალი ტიპის მანქანისა და მოწყობილობის წარმოება.

1953 წელს მანქანათმშენებელი მრეწველობის პროდუქცია 2,5-ჯერ გადიდდა 1949 წელთან შედარებით და თითქმის 7-ჯერ ომამდელთან შედარებით. ექვსწლიანი გეგმის ოთხი წლის მანძილზე პოლონეთში შეიქმნა პოლონური მანქანათმშენებლობის ახალი დარგები, რომლებიც წინათ არ იყო: გემთმშენებლობა, ავტომშენებლობა, თანამედროვე ელექტროტექნიკური, ოპტიკური და მრეწველობის სხვა დარგები.

სახალხო ხელისუფლების წლებში შეიცვალა მანქანათმშენებლობის ხასიათი. ახლა მთავარი ადგილი უკავია მსხვილ ჩარხმშენებლობასა და სამრეწველო მოწყობილობას, ტრაქტორებს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, რკინიგზის მოძრავ შემადგენლობებს, გემთმშენებლობას და სხვ.

მსხვილი ჩარხმშენებლობის პროდუქცია მიმდინარე წლის დასასრულისათვის 12-ჯერ გადიდდა 1938 წელთან შედარებით.

წელს ათვისებულ ახალ მანქანებს შორის არის პირველი პოლონური ორთქლის ტურბინი, ახალი მღარავი ჩარხები, ახალი ელექტრომავალი, ახალი ორთქლმავალი და სხვ. ახლა პლოცკის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანაში ემზადებიან პირველი მარცვლეულის კომბაინის გამოშვებისათვის.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის თეზისები ითვალისწინებენ მანქანათმშენებელი მრეწველობის შემდგომ განვითარებას. მაგალითად, მანქანათმშენებლობის პროდუქცია 1954 წელს 19 პროცენტით გადიდდება 1953 წელთან შედარებით.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის წარმატებები 1953 წელს

ულან-ბატორი, 31 დეკემბერი. (საკდესი). მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში 1953 წელს მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული. საწარმოო გეგმა გადაჭარბებით შეასრულა 300-ზე მეტმა საწარმომ. მაგალითად ულან-ბატორის ენერგოკომბინატმა საწარმოო გეგმა შეასრულა 107 პროცენტით, მე-4 და პირველმა კუსტარულ-სამრეწველო არტელებმა — შესაბამისად 120 და 118 პროცენტით, სარეწაო კომბინატის ფეხსაცმლის ფაბრიკამ — 104,3 პროცენტით, ნალაიხის № 14 შახტმა — 101,2 პროცენტით. მნიშვნელოვნად გადააჭარბეს 1953 წლის გეგმას სამთამადნო მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოებმა და სხვ.

კარგად იმუშავეს 1953 წელს კავშირგაბმულობის საწარმოებმა. კავშირგაბმულობის მუშაკებმა ტელეგრაფის ხაზი გაიყვანეს ქალაქ კობდოდან ქალაქ ცაგანურამდე, დააკავშირეს ულან-ბატორი რესპუბლიკის ყველაზე დაშორებულ დასავლეთ რაიონებთან, რომლებიც დედაქალაქიდან 1.800 კილომეტრზე მდებარეობენ. დამთავრდა მონტაჟი და საექსპლოატაციოდ გადაეცა ავტომატური ტელეფონის სადგური ულან-ბატორში.

მონღოლეთში განუხრელად ვითარდებოდა მემინდვრეობა და მებოსტნეობა. ეს დარგები უმთავრესად აქვთ სახელმწიფო მეურნეობებს. მარცვლეულთა ფართობი სახელმწიფო მეურნეობებში გადიდდა 15,8, ხოლო მოსავლიანობა 14,6 პროცენტით, ბოსტნეულის ფართობი გადიდდა 89,2 პროცენტით.

საზეიმო კრება გუჟარესტში

გუჟარესტი, 31 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ ბუქარესტში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების მეექვსე წლისთავს. კრებას დაესწრნენ წარმოების მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, სახალხო არმიის ჯარისკაცები და ოფიცრები.

პრეზიდიუმში იყვნენ დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე პეტრუ გროზა, რუმინეთის მუშათა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები გ. გეორგიუ-დეჟის მეთაურობით.

მოხსენება სახელოვანი წლისთავის შესახებ გააკეთა რუმინეთის შეიარაღებული ძალების მინისტრის მოადგილემ ლ. სელეტანუმ.

საერთაშორისო თემაზე

შენიშვნები

1. უცნაური საახალწლო საჩუქარი

ამას წინათ იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადში მეტად ღირსშესანიშნავი ამბავი მოხდა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იუგოსლავიას აჩუქეს... ხის ჩიქუჩი. ამ შემთხვევის გამო გაიმართა ცერემონია. შეერთებული შტატების სახელით ხაჩუქარი გადასცა ელჩმა ჯორჯ ალენმა, იუგოსლავიის სახელით საჩუქარი მიიღო უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ იოსებ ხრნჩევიჩმა.

როგორც ამერიკის საელჩოს ბიულეტენი იტყობინება, ვაშინგტონიდან გაგზავნილი ხის ჩიქუჩი წარმოადგენს იმ ჩიქუჩის ზუსტ ასლს, რომელსაც შეერთებული შტატების უმაღლეს სასამართლოში ხმარობენ. იგი „იუგოსლავიურ სასამართლოს მაღალი შეფასების ნიშნად“ გაუგზავნა ამერიკის უმაღლესი სასამართლოს წევრმა იულიამ დუგლასმა, რომელიც გასულ წელს ბელგრადს ესტუმრა და გაეცნო სასამართლოების მოქმედებას ფაშისტურ იუგოსლავიაში.

რა თქმა უნდა, დუგლასს არ შეეძლო არ შეემჩნია, რომ ტიტოურმა სასამართლოებმა საპყრობილეებში ჩაყარეს და სიკვდილით დასაჯეს ასეულ ათასობით იუგოსლავიელი პატრიოტი და, ამავე დროს, გაათავისუფლეს ის გამოუსწორებელი დამნაშავეები, რომლებსაც იუგოსლავიელმა ხალხმა თავის დროზე საკადრისი მსჯავრი გამოუტანა.

ასე იქნა განთავისუფლებული ვატიკანის ყურმოჭრილი მსახური, სერბების მასობრივი ულტეტს მომწყობი ეპისკოპოსი სტეპინაციც, რომლის თაოსნობით ათეულ ათასობით უდანაშაულო ადამიანი მხეცურად იქნა მოკლული.

ხალხის ჯალათების განთავისუფლებამ აღშფოთება გამოიწვია მთელ იუგოსლავიაში, მაგრამ ამერიკელ მოსამართლეებს, როგორც ჩანს, ხელს აძლევს ასეთი „მართლმსაჯულება“.

ვაშინგტონიდან გამოგზავნილი ხის ჩაქუჩი ამერიკული და ტიტოური იუსტიციის სოლიდარობის სიმბოლოა.

მაგრამ საქმე მარტო სიმბოლოებით როდი განიხაზღვრება.

ბელგრადელი ნაბოლარას ერთგულებით გულაჩუყებულმა ამერიკელმა ბატონმა იუგოსლავიას საახალწლოდ ახალი, უკვე პრაქტიკული საჩუქარი — ამერიკული პოლიციური ხელკეტები — გაუგზავნა. საოკეანო გემმა ეს „ძვირფასი“ ნობათი ადრიატიკის ზღვის სანაპიროსთან მიიტანა, შემდეგ კი იგი დაუყოვნებლივ დაეგზავნა პოლიციელებს იუგოსლავიის ყველა ქალაქში.

ამერიკულმა „თოვლის ბაბუამ“ იცის რასაც აკეთებს.

ტიტო სისხლში ახრჩობს იუგოსლავიას. პენტაგონელ ვაჟბატონებს ამ მხრივ არავითარი საფუძველი არა აქვთ იყვნენ თავიანთი ბელგრადელი ლაქიის უკმაყოფილონი. ხამახი ათასზე მეტი პატრიოტი იტანჯება ამჟამად იუგოსლავიის საპყრობილეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში. ტიტო, რომლის სამხედრო-პოლიციური აპარატი მილიონზე მეტ კაცს ითვლის, წელებზე ფეხს იდგამს, რომ როგორმე გაამართლოს ძია სემის ნდობა; ოკეანისგაღმიდან გადმოყრილი გროშებისათვის იგი მზად არის საპყრობილეში ჩაალპოს მთელი ქვეყანა, ამერიკულ საზარბაზნე ხორცად აქციოს ხორვატიისა და სერბეთის ამაყი შვილები.

მაგრამ ახალ, 1954 წელს იუგოსლავიელი ხალხი ისე როდი ხვდება, როგორც ეს იანკებს სურთ. იუგოსლავიელი პატრიოტები კიდევ უფრო გმირულ ბრძოლას აჩაღებენ მათ ქვეყანაში გამეფებული სისხლიანი რეჟიმის წინააღმდეგ და სწამთ, რომ მომავალი წელი ამ ბრძოლაში მათ მრავალ ახალ გამარჯვებას მოუტანს.

2. გიზგიზებენ წიგნების კოცონები...

ჩიკაგოელი კათოლიკეების სულიერი მწყემსი ტომას ფიტცჯერალდი დიდიხანია ეძებდა საერთო ასპარეზზე თავის გამოჩენის ხელსაყრელ შემთხვევას. და აი დადგა ნანატრი უამი. ზეციერი მამის ამ უცოდველმა კრავმა გადაწყვიტა ლაშქრობა გაემართა „საამბოხო წიგნების“ წინააღმდეგ. კამპანია დაიწყო წიგნის თაროებიდან „დაუშვებელი“ ლიტერატურის გაძევებით. ჩიკაგოელი კათოლიკეების საეპარქიო საბჭომ მამა ფიტცჯერალდის მეთაურობითა და პოლიციასთან მჭიდრო თანამშრომლობით საჩქაროდ გამოაქვეყნა „მავნე“ წიგნების შავი სიები. „აზრების კონტროლის“ დარგში აღიარებულმა ავტორიტეტმა ხენატორმა მაკარტიმ დიდად მოიწონა ამ ახალი ყაიდის ინკვიზიტორის წამოწყება.

წიგნების წინააღმდეგ გამართულ ლაშქრობას ხალხისთან შეუერთდნენ ვიწროშუბლიანი ვაჟბატონებიც ფაშისტური „ამერიკული ლეგიონნდან“. თავისი ინკვიზიტორული მუშაობა განაგრძო წარმომადგენელთა პალატის წიგნების შინაარსის გამომკვლევმა კომისიამაც, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ცნობილი განგსტერი ჰეიტინგსი.

გაჩაღდა გაუგონარი მასშტაბის ნადირობა მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის შედევრებზე.

მარტო ქალაქ სენტ-კლაუდში (მინესოტის შტატი) ადგილობრივ ხელისუფალთა განკარგულებით მოკლე დროის განმავლობაში 300-ზე მეტი წიგნი შეიტანეს შავ სიაში. გეორგიის შტატში კი „იდეებზე მონადირენი“, ცოტა არ იყოს, უხერხულობაში ჩავარდნენ: აღმოჩნდა, რომ მაღალი თანამდებობის იმ პირთაგან, ვისაც დავალებული ჰქონდა „საძრახისი“ ლიტერატურის მოსპობის ბინძური საქმე, უკანასკნელ ხანებში არავის არაფერი არ წაეკითხა. იძულებული გახდნენ სასწრაფოდ შეექმნათ ე. წ. „ლიტერატურული კომისია“, რომელსაც, სხვათა შორის, დაევალა იმის გამორკვევაც, ქადაგებს თუ არა თავის ნაწარმოებებში დიდი ინგლისელი კლასიკოსი ჯეფრი ჩოსერი „კომუნისტურ იდეებს“.

მეამბოხე ავტორებად მონათლეს და აკრძალეს ანტიკური რომაელი მწერალი აპულე ლუციოსი, შექსპირი, ბალზაკი, გიუ დე მოპასანი. თანამედროვე დოლარის თაყვანისმცემლები შიშობენ, რომ შექსპირსა და ლონგფელოს შეუძლიათ ძირი გამოუთხარონ ამერიკულ საზოგადოებას.

წიგნების წინააღმდეგ ორგანიზებული ლაშქრობა ამერიკის შეერთებულ შტატებში შემთხვევითი არ არის. იგი მოწმობს, თუ რა სიფიცხეზე მივიდა ამერიკული რეაქცია, როგორ აშკარად იკიდებს ფეხს ამერიკის „ცივილიზებულ“ ცხოვრებაში ფაშიზმი.

ამ მხრივ საკმარისია მოვიგონოთ თუნდაც ისეთი პირსისხლიანი ნაცისტის სიტყვები, როგორიც გერინგი იყო: „მომესმება თუ არა სიტყვა „კულტურა“, ხელი რევოლვერისაკენ გამიბრძის“.

როგორც ცნობილია, გრიბოედოვის უკვდავი კომედიის მოქმედი პირი, ვონხადაზული მოხელე ფამუსოვი წიგნებს მთავარ ბოროტებად თვლიდა. მისი აზრით, რომ „აღიკვეთოს ეს ბოროტება“, საჭიროა „შეგროვდეს ყველა წიგნი და დაიწვას“.

ფამუსოვის ოცნება ფრთებს ისხამს თანამედროვე ამერიკაში.

შეერთებული შტატები წიგნების „აუტოდაფეებით“ ხვდებიან ახალ წელს.

გიზგიზებენ „საძრახი“ წიგნების კოცონები ოკლაჰომასა და ჩრდილოეთ კაროლინაში, კალიფორნიასა და მდინარე პოტომაკის ნაპირებზე. მაგრამ რამდენიც არ უნდა ეცადონ კულტურისა და მშვიდობის მტრები მასების გაბრუებას, მაინც ვერ დასწვავენ, ვერ ჩაამწყვდევენ საპყრობილეებში პროგრესულ იდეებს, ვერ მოსპობენ ამერიკელი ხალხის იმედსა და მხურვალე მისწრაფებას უკეთესი მომავლისაკენ.

ა. კუსრაშვილი.

კაპიტალის გატონოგის ქვეყნებში

ამერიკელ ეკონომისტთა პროგნოზები 1954 წლისათვის

ნიუ-იორკი, 28 დეკემბერი. (საკდესი). ჟურნალ „ბიზნეს უიკ“-ის ინფორმაციით, ამერიკელ ეკონომისტთა ასოციაციის ინიციატივით, 300-მდე ეკონომისტმა გამოთქვა აზრი, რომ შეერთებული შტატები განიცდიან „დაქვეითების“ პერიოდს, რაც გამოიწვევს წარმოების და დასაქმების შემცირებას. კონფერენციის მონაწილეთა თითქმის სამმა მეოთხედმა მხარი დაუჭირა თვალსაზრისს, რომ დაქვეითება გაგრძელდება მთელი 1954 წლის მანძილზე. ეკონომისტთა უმრავლესობა არ დაეთანხმა მთავრობის წარმომადგენლის აზრს, რომელიც ამტკიცებდა, რომ შეერთებული შტატები განიცდიან ხანმოკლე „გარდამავალ პერიოდს“.

„ყველა ეკონომისტს, რომლებიც კონფერენციას ესწრებოდნენ, წერს კორესპონდენტი, მიაჩნია, რომ წარმოება შემცირდება სულ ცოტა 5 პროცენტით... ხოლო ზოგიერთის აზრით, იგი შეიძლება შემცირდეს კიდევ უფრო მეტად“.

გამოვიდა რა კონფერენციაზე, კერძო ორგანიზაციის „დაგეგმვის საკითხების ეროვნული ასოციაციის“ მთავარმა ეკონომისტმა ჰერჰარდ კოლმმა განაცხადა, რომ მომავალ წელს ეკონომიური აქტივობა შეიძლება შემცირდეს 6 პროცენტით 1953 წელთან შედარებით. კომპანია „სტანდარდ ოილ კომპანი ოფ ნიუ-ჯერსის“ სამეცნიერო-საკვლევი ეკონომიური განყოფილების ხელმძღვანელმა კარტნი ბრაუნმა რწმენა გამოთქვა, რომ დაქვეითება იქნება „ისეთი, როგორიც 1949 წელს იყო, ან შეიძლება რამდენადმე მეტიც“.

მეცნიერების მძიმე მდგომარეობა ავსტრიაში

ვენა, 31 დეკემბერი. (საკდესი). ავსტრიის ხელოვნებისა და მეცნიერების მოღვაწეთა გაერთიანებამ გამოაქვეყნა საახალწლო განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ პოლიტიკა, რომელსაც მთავრობა ახორციელებს, აბრკოლებს მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას და იწვევს ავსტრიის ინტელიგენციის ცხოვრების პირობების შემდგომ გაუარესებას.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ კოალიციური მთავრობა სიტყვით კვლავ მრავალ დაპირებას იძლევა, საქმით კი ამცირებს ისედაც უმნიშვნელო ასიგნობებს კულტურისა და მეცნიერების განვითარებისათვის. ამის შედეგად ავსტრიაში 1953 წელს თითქმის სრულიად შეწყდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და კიდევ უფრო დაქვეითდა ხელოვნების მოღვაწეთა და ინტელიგენციის სხვა წარმომადგენელთა ცხოვრების დონე.

კულტურა და მეცნიერება ავსტრიაში, ხაზგასმით არის აღნიშნული განცხადებაში, ახლა მნიშვნელოვნად უფრო მძიმე პირობებშია, ვიდრე რომელიმე სხვა ევროპაში. ეს იწვევს თვალსაჩინო მეცნიერთა და ავსტრიის ინტელიგენციის ახალგაზრდა თაობის ნიჭიერ წარმომადგენელთა მასობრივ გაქცევას საზღვარგარეთ.

დასასრულ ხელოვნებისა და მეცნიერების მოღვაწეთა გაერთიანება მოუწოდებს ავსტრიის ინტელიგენციას მოაწყოს მასობრივი მოძრაობა კულტურისა და მეცნიერების დასაცავად.

იაპონია ახალი წლის წინ

შანხაი, 30 დეკემბერი. (საკდესი). ტოკიოს რადიოს ცნობით, იაპონია 1953 წელს ამთავრებს სერიოზული ეკონომიური სიძნელეებით. რადიოს ცნობაში კერძოდ ნათქვამია, რომ იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში ახლა უმუშევართა სარეკორდო რიცხვია — 1.800 ათასი კაცი.

თბილისი

ქალაქის ქრონიკა

საბჭოთა ეპოქის ბედნიერი ნორჩი თაობის ხიხარულით სავსე, მჩქეფარე ცხოვრებაში არიან ისეთი დღეები, რომელთა დავიწყება შეუძლებელია. ელექტროჟაღებით გაჩირაღდნებულ ახალ წლის ღამეს ხომ ისინი ენით აუწერელ ხიხარულს განიცდიან. თოვლის ფანტელებით გადაბარდნილა ბარაქიანი მინდორ-ველები, კეთილმოწყობილი ქალაქები და სოფლები. ამ დროს ყველა ოჯახში სითბო და ბედნიერებაა.

ხიხარულს გული ვერ ერიტევს, ხიხარულს, როგორც ფრინველს, სივრცე ესაჭიროება.

... და აი დღესაც, სახახელო სწავლის შემდეგ, გოგონები და ბიჭუნები მიიჩქარიან პიონერთა სახახლეებისაკენ, კინოთეატრებისაკენ. აქ მათ მიელით შესანიშნავი საახალწლო საჩუქარი — ფერად-ფერადი სამკაულებით დახუნძლული ნაძვისხე, მოღიმარი თოვლის ბაბუა.

— მოგილოცავთ ახალ წელს, ჩვენი ცხოვრების ყვავილებო! — ეხალება მათ ქალი და კაცი, მთელი საბჭოთა ხალხი.

მათთვის — კომუნიზმის მომავალი მშენებლებისათვის დაუღალავად ზრუნავენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა. ამ მშობლიური ზრუნვის პასუხად ჩვენი იმედი, ჩვენი მომავალი, ხიხარული და ბედნიერება — ჯანსაღი თაობა ფიცს დებს:

— შენს სადიდებლად, ძვირფასო დედა-სამშობლო, მზად ვართ!

სურათზე: ნაძვისხესთან პიონერთა და მოსწავლეთა სახახლეში.

ხელოვნების ამბები

სამი ახალი სპექტაკლი

მარჯანიშვილის სახელობის თეატრში

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა მორიგ ახალ დადგმად მაყურებელს უჩვენა ვ. გაბესკირიას დრამა „უფსკრულთან“. დადგმა ეკუთვნის რეჟისორ გ. ლორთქიფანიძეს, მხატვრობა — მ. გოცირიძეს. როლებს ასრულებდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი შ. ღამბაშიძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მ. ჯაფარიძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტები ც. თაყაიშვილი, ბ. კობახიძე, შ. გომელაური, ე. დონაური, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები აკ. კვანტალიანი, მ. დავითაშვილი, მსახიობები ვ. ნინუა, გ. გელოვანი, გ. გოცირელი, დ. წეროძე, ლ. ვაჩნაძე და მეოთხეკლასელი მოსწავლე ო. ილურიძე.

ჩეხოვის „მეთოვლია“ თბილისის სცენაზე

გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს ახალწლისათვის უჩვენა ახალი სპექტაკლი ა. პ. ჩეხოვის „მეთოვლია“, რომელიც პირველად დაიდგა თბილისის სცენაზე. სპექტაკლი დადგა რეჟისორმა ლ. ვარპახოვსკიმ, გააფორმა მხატვარმა ი. შტენბერგმა. მონაწილეობენ მსახიობები ნ. ბურმისტროვა, ლ. ვრუბლევსკაია, ვ. ზახაროვა, ი. კირილოვა, პ. ლუსპეკაევი, ი. ზლობინი, კ. მიუფკე, დ. სლავინი და სხვ.

„მისი მეგობრები“ მოზარდ მაყურებელთა თეატრში

მოზარდ მაყურებელთა ქართულმა თეატრმა ამ დღეებში მაყურებელს უჩვენა ახალი სპექტაკლი — ვ. როზოვის „მისი მეგობრები“. პიესა დადგა რეჟისორმა ვ. ალექსაშვილმა, მხატვრულად გააფორმა ი. ხუროშვილმა. როლებს ასრულებენ მსახიობები მ. ჟღენტი, დ. ცხაკაია, მ. ჯაჯანაშვილი, მ. ერგნელი, ნ. სირბილაძე, მ. გაგლოშვილი და სხვ.

ახალგაზრდა მსახიობთა სექცია

საქართველოს თეატრალურ საზოგადოებასთან ჩამოყალიბდა ახალგაზრდა მსახიობთა სექცია, რომლის თავმჯდომარედ არჩეულია რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობი კ. მახარაძე.

ახალი სექციის სამუშაო გეგმა ითვალისწინებს სასცენო მეტყველების, ხმის დამუშავების, სასცენო მოძრაობის და სხვა ჯგუფების ჩამოყალიბებას, რომელთა ხელმძღვანელებად მოწვეული არიან კვალიფიციური პედაგოგები.

სექციის ინიციატივით მიმდინარე სეზონში თბილისის თეატრების 5 ახალგაზრდა მსახიობი გაიგზავნება შემოქმედებითს მივლინებაში მოსკოვში.

ყველა ეროვნების ამბები

ბერძენ-ბულგარული ანსამბლი

ბერძენ-ბულგარული ანსამბლი ბულგარეთიდან